როგორ მოვემზადოთ ერთიანი

ეროვნული გამოცდებისათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

(სავალდებულო გამოცდა)

შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის

ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

თბილისი

2025

სსიპ - ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის'' მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული საგამოცდო კრებულები წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ''.

სსიპ - ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი'' ვებ-გვერდის მომხმარებელს / ვიზიტორს აძლევს უფლებას იხილოს და ჩამოტვირთოს აღნიშნული კრებულები, რომლებსაც მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულება აქვს. დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) სსიპ - ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის'' ნებართვის გარეშე. იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 5
საგამოცდო მოთხოვნები ---------- 6
ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები
I. ტექსტის რედაქტირება
ა) დავალებების ნიმუშები ---------- 6
ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 9
გ) კომენტარი ---------- 12
II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება
ა) დავალებების ნიმუშები ---------- 12
ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 66
გ) კომენტარი ---------- 71

შესავალი

წინამდებარე კრებული განკუთვნილია მათთვის, ვინც აპირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. კრებულში მოცემულია საგამოცდო მოთხოვნები, ტესტური დავალებების ნიმუშები, შეფასების კრიტერიუმები და მცირე კომენტარები.

გირჩევთ ყურადღებით წაიკითხოთ ინსტრუქციები და დავალებების პირობები, გაეცნოთ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც შეფასდება თქვენი ნამუშევრები, გაითვალისწინოთ რეკომენდაციები.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტში არის შემდეგი ტიპის დავალებები: **I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება** (შეთავაზებული ორი მხატვრული ტექსტიდან უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი და უპასუხოთ ამ ტექსტის შესახებ დასმულ არჩევითპასუხებიან კითხვებს) **და წერითი დავალება** (უნდა იმსჯელოთ დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ იმ მხატვრული ტექსტის საფუძველზე, რომელიც აირჩიეთ **წაკითხულის გააზრებ-ის** დავალებების შესასრულებლად). ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კრებული დაგეხმარებათ უკეთ მოემზადოთ გამოცდებისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო მოთხოვნები

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული და არასაპროგრამო ტექსტების გააზრებისა და ანალიზის უნარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ტექსტის რედაქტირების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ. ***გაითვალისწინეთ,*** ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო. თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

1.

ცნობილი ქართველი მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი 1894 წელს დაიბადა ქუთაისში. 1912 წელს ქეთევანი თბილისის სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა. შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მოსკოვში ფერწერის სკოლაში. 1917 წელს იგი თბილისში დაბრუნდა. აქ მაღალაშვილი შეხვდა ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, დიმიტრი შევარდნაძეს ვისი რჩევითაც ქართველი მოღვაწეების პორტრეტების შექმნა დაიწყო. ამავე პერიოდში ქეთევანი მონაწილეობდა ექსპედიციებში რომელიც ქართველ ხელოვანთა მიერ იყო ორგანიზებული. ახალგაზრდა მხატვრები მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რადგან ძველი ფრესკები შეესწავლათ და მათი ასლების გადაღება მოეხდინათ.

1921 წლიდან ქეთევანმა მუშაობა დაიწყო სურათების ეროვნულ გალერეაში. ამავე პერიოდში მან თეატრალურ სტუდიისათვის შექმნა ქართული ტანსაცმლის ესკიზები. 1923 წელს

მაღალაშვილი სასწავლებლად მიუნხენში გაემგზავრა, მოგვიანებით კი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა სადაც კოლაროსის აკადემიაში სწავლობდა ელენე ახვლედიანთან ერთად.

პარიზში ცხოვრებამ და ცნობილ მხატვრებთან ურთიერთობამ მაღალაშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია. ხელოვნებათმცოდნეების შეფასებით პროფესიულმა დაოსტატებამ მხატვარს მეტი სილაღე შეძინა და ის შინაგანად გაანთავისუფლა.

1926 წლიდან ქეთევან მაღალაშვილი ეროვნულ გალერეაში მუშაობდა რესტავრატორათ და აგრძელებდა პორტრეტების ხატვას. მან თავისი დროის ბევრი გამოჩენილი ადამიანის პორტრეტი შექმნა.

2.

ცნობილი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე 1889 წელს დაიბადა იმერეთის სოფელ კუხში. 1910 წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა პარალელურად კი სამხატვრო სტუდიაშიც სწავლობდა. დავითმა სტუდენტობის წლებში დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა მკვლევარი შეეცადა რომ ჩაწვდომოდა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ორნამენტის საიდუმლოს.

1918 წელს დავითი საქართველოში დაბრუნდა და შექმნა არაერთი ფერწერული შედევრი. მათთაგან გამოირჩევა იმერული პეიზაჟები. 1919-1927 წლებში იგი ცხოვრობდა პარიზში სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ საქართველოდან წარგზავნილ მხატვრების ახალი თაობა. დავითი მათთან ერთად მონაწილეობდა გამოფენებში, კითხულობდა საჯარო ლექციებს ასევე აქვეყნებდა ნაშრომებს თანამედროვე ხელოვნების შესახებ. იგი შეეცადა, რომ ავანგარდულ ხელოვნებაში არსებული პროგრესული იდეები ქართულ მემკვიდრეობასთან დაეკავშირებია.

დავით კაკაბაძემ შექმნა უსათვალო სტერეოკინოს აპარატი. მხატვრის ეს გამოგონება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო სამ-განზომილებიანი გამოსახულების მიღება ამერიკისა და ევროპის რვა ქვეყანაშია დაპატენტებული.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი დაუკავშირდა კოტე მარჯანიშვილს ვისთან ერთადაც რამდენიმე სპექტაკლზე იმუშავა. დავით კაკაბაძემ მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანა ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში.

3.

ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი 1901 წელს დაიბადა თელავში. იგი ჯერ სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა 1922 წელს კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. აკადემიის ხელმძღვანელობამ წარჩინებული სტუდენტი საზღვარგარეთ გაგზავნა და მან სწავლა განაგრძო პარიზში, კერძოდ კოლაროსის აკადემიაში. პარიზში გაიმართა მისი პირველი პერსონალური გამოფენა. ცნობილია რომ მრავალ სხვა დამთვალიერებლებთან ერთად ეს გამოფენა მოუნახულებია პიკასოს, ვისაც განსაკუთრებით მოწონებია ფერწერული ტილო „კახეთი, ზამთარი“.

ელენე ახვლედიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პეიზაჟური ფერწერის განვითარებაში. მისი ნამუშევრები იმთავითვე შედევრებად აღიარეს კრიტიკოსებმა და ხელოვნების მოყვარულებმა რომელთაგან გამოირჩევა თბილისის, სიღნაღისა და თელავის პეიზაჟები.

განსაკუთრებული იყო ელენე ახვლედიანის დამოკიდებულება ძველ თბილისთან მიმართებაში. როგორც მისი თანამედროვეები იხსენებდნენ მხატვარის უშუალო ჩარევის შედეგად არაერთი ძველი შენობა გადაურჩა დანგრევას.

ელენე ახვლედიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ სცენოგრაფიის განვითარებას. მან სამოცდაათზე მეტი სპექტაკლი გააფორმა როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ასევე ნაყოფიერათ თანამშრომლობდა გამომცემლობებთან. ელენე ახვლედიანის საუკეთესო გრაფიკული ნამუშევრებია ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და პოემების ილუსტრაციები.

4.

ცნობილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი 1896 წელს დაიბადა თბილისში. 1914 წელს მან დაამთავრა თბილისის სამხატვრო სკოლა. მალე გაიმართა მისი პირველი პერსონალური გამოფენა. საზოგადოებამ ახალგაზრდა ფერმწერის შემოქმედება იმთავითვე დადებითად შეაფასა. პირველ წლებში გუდიაშვილის შემოქმედებაში ჭარბობდა როგორც ძველ თბილისის ბოჰემური ცხოვრების ამსახველი სცენები ისე საქართველოს წარსულით შთაგონებული სიუჟეტები.

გუდიაშვილი ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის რომელთა მიზანი ხელოვნებაში ეროვნული ფორმების დამკვიდრება იყო. მასზე დიდი გავლენა იქონია ძველმა ქართულმა კედლის მხატვრობამ და მინიატურამ. მხატვარმა გადაწყვიტა რომ უკეთ გაცნობოდა ქართული ხელოვნების ისტორიას ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. სწორედ ამ მიზნით მიიღო მან მონაწილეობა ექსპედიციაში რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა.

1919 წელს ახალგაზრდა მხატვარი პარიზში გაემგზავრა და ჩასვლის თანავე ჩაირიცხა რონსონის „თავისუფალ აკადემიაში“. იმდროინდელ ფრანგულ პრესაში ხშირათ ხდებოდა სტატიების გამოქვეყნება მისი შემოქმედების შესახებ. ფრანგმა მწერალმა რეინალმა გამოსცა მონოგრაფია გუდიაშვილის შესახებ, რომელიც მოხიბლული იყო ქართველი ფერმწერის ორიგინალური სტილით.

1946 წელს გუდიაშვილმა მოხატა თბილისის ქაშუეთის ეკლესიის კედლები რომლის გამოც სამხატვრო აკადემიიდან დაითხოვეს.

5.

შალვა ქიქოძე 1895 წელს დაიბადა სოფელ ბახვში. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიჭიერ ახალგაზრდას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სტიპენდია დაუნიშნა და იგი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1916 წელს შალვა ქიქოძის ჩარიცხვა მოხდა მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში, კერძოდ ფერწერის ჯგუფში.

არდადეგებზე საქართველოში ჩამოსული ქიქოძე დაუკავშირდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას რის დამფუძნებელიც იყო მისი უფროსი მეგობარი დიმიტრი შევარდნაძე. შალვა აქტიურათ ჩაერთო საზოგადოების საქმიანობაში.

ქიქოძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებების მიერ ერთობლივად მოწყობილ პირველ ექსპედიციაში რადგან კულტურული მემკვიდრეობის უკეთ შესწავლის შესაძლებლობა მიცემოდა. ექსპედიციის მონაწილეები ძეგლებს წმინდავდნენ და კედლის მხატვრობას ეცნობოდნენ. შალვამ იმუშავა მე-XV

საუკუნის ძეგლის, ნაბახტევის ეკლესიის ფრესკების ასლების გადმოღებაზე. მხატვარმა ცხენით შემოიარა საქართველოს კუთხეები ფშავ-ხევსურეთი, კახეთი, აჭარა.

1920 წელს შალვა ქიქოძე, როგორც სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები ქართველ ხელოვანთა საზოგადოების მიერ დანიშნული სტიპენდიით სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა. აქ მან მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების ყოველწლიურ გამოფენაში. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო პარიზის სხვადასხვა სამხატვრო გალერეაში.

6.

ვერა ფაღავა 1907 წელს დაიბადა თბილისში. მის მშობლებს განათლება უცხოეთში ჰქონდათ მიღებული. ვერას დედა პირველი გიმნაზიის დირექტორი იყო, ხოლო მამა რომელმაც იურიდიული ფაკულტეტი გერმანიაში დაამთავრა ირანში დიპლომატად მუშაობდა 1920-1921 წელში. აღსანიშნავია რომ ვერას ბებია ზიჩის შთაგონების წყარო იყო „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის სახის შექმნისას.

1922 წელს ვერა მამის ავადმყოფობის გამო ოჯახთან ერთად დროებით გერმანიაში გაემგზავრა. საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ფაღავებს სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება შეაცვლევია. 1923 წელს ოჯახი გერმანიიდან საფრანგეთში გადავიდა და პარიზის გარეუბანში დასახლდნენ.

თავდაპირველათ ვერა ფაღავა დეკორატიულ ხელოვნების სკოლაში დადიოდა ხოლო 1932 წელს რონსონის კერძო აკადემიაში ჩაირიცხა. 1943 წელს ფაღავამ ცნობილი გალერისტი ჟან ბიუშე გაიცნო. ბიუშე, რომელიც აღფრთოვანებული იყო ფაღავას შემოქმედებით დიდი წვლილი მიუძღვის მისი ნიჭის აღმოჩენასა და შემოქმედების პოპულარიზაციაში.

1958 წელს მსოფლიო გამოფენისათვის ვერა ფაღავამ ვატიკანის პავილიონში მონუმენტური ფრესკის შექმნა განახორციელა. 1966 წელს ვენეციის ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენაზე საფრანგეთი წარმოდგენილი იყო ფაღავას შემოქმედებით რასაც ცალკე სივრცე ეთმობოდა. მისი ნამუშევრები პარიზის პომპიდუს ცენტრის კოლექციაშიც არის დაცული.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები --- *8ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (8) აკლდება თითო ქულა.
II. სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები ---------- *2ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.
III. პუნქტუაციური შეცდომები ---------- *6ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (6) აკლდება თითო ქულა.

1.

ცნობილი ქართველი მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი 1894 წელს დაიბადა ქუთაისში. 1912 წელს ქეთევანი თბილისის სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა. შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მოსკოვში, ფერწერის სკოლაში. 1917 წელს იგი თბილისში დაბრუნდა. აქ მაღალაშვილი შეხვდა ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, დიმიტრი შევარდნაძეს, რომლის რჩევითაც ქართველი მოღვაწეების პორტრეტების შექმნა დაიწყო. ამავე პერიოდში ქეთევანი მონაწილეობდა

ექსპედიციებში, რომლებიც ქართველ ხელოვანთა მიერ იყო ორგანიზებული. ახალგაზრდა მხატვრები მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა (იმისათვის რომ/რომ) ძველი ფრესკები შეესწავლათ და მათი ასლები გადაეღოთ.

1921 წლიდან ქეთევანმა მუშაობა დაიწყო სურათების ეროვნულ გალერეაში. ამავე პერიოდში მან თეატრალური სტუდიისათვის შექმნა ქართული ტანსაცმლის ესკიზები. 1923 წელს მაღალაშვილი სასწავლებლად მიუნხენში გაემგზავრა, მოგვიანებით კი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, სადაც კოლაროსის აკადემიაში სწავლობდა ელენე ახვლედიანთან ერთად.

პარიზში ცხოვრებამ და ცნობილ მხატვრებთან ურთიერთობამ მაღალაშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია. ხელოვნებათმცოდნეების შეფასებით, პროფესიულმა დაოსტატებამ მხატვარს მეტი სილაღე შესძინა და ის შინაგანად გაათავისუფლა.

1926 წლიდან ქეთევან მაღალაშვილი ეროვნულ გალერეაში მუშაობდა რესტავრატორად და აგრძელებდა პორტრეტების ხატვას. მან თავისი დროის ბევრი გამოჩენილი ადამიანის პორტრეტი შექმნა.

2.

ცნობილი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე 1889 წელს დაიბადა იმერეთის სოფელ კუხში. 1910 წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, პარალელურად კი სამხატვრო სტუდიაშიც სწავლობდა. დავითმა სტუდენტობის წლებში დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა მკვლევარი შეეცადა, რომ ჩასწვდომოდა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ორნამენტის საიდუმლოს.

1918 წელს დავითი საქართველოში დაბრუნდა და შექმნა არაერთი ფერწერული შედევრი. მათგან გამოირჩევა იმერული პეიზაჟები. 1919-1927 წლებში იგი ცხოვრობდა პარიზში, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდა საქართველოდან წარგზავნილი მხატვრების ახალი თაობა. დავითი მათთან ერთად მონაწილეობდა გამოფენებში, კითხულობდა საჯარო ლექციებს, ასევე აქვეყნებდა ნაშრომებს თანამედროვე ხელოვნების შესახებ. იგი შეეცადა, რომ ავანგარდულ ხელოვნებაში არსებული პროგრესული იდეები ქართულ მემკვიდრეობასთან დაეკავშირებინა.

დავით კაკაბაძემ შექმნა უსათვალო სტერეოკინოს აპარატი. მხატვრის ეს გამოგონება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო სამგანზომილებიანი გამოსახულების მიღება, ამერიკისა და ევროპის რვა ქვეყანაშია დაპატენტებული.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი დაუკავშირდა კოტე მარჯანიშვილს, რომელთან ერთადაც რამდენიმე სპექტაკლზე იმუშავა. დავით კაკაბაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში.

3.

ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი 1901 წელს დაიბადა თელავში. იგი ჯერ სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა, 1922 წელს კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. აკადემიის ხელმძღვანელობამ წარჩინებული სტუდენტი საზღვარგარეთ გაგზავნა და მან სწავლა განაგრძო პარიზში, კერძოდ, კოლაროსის აკადემიაში. პარიზში გაიმართა მისი პირველი პერსონალური გამოფენა. ცნობილია, რომ მრავალ სხვა დამთვალიერებელთან ერთად ეს გამოფენა

მოუნახულებია პიკასოს, რომელსაც განსაკუთრებით მოსწონებია ფერწერული ტილო „კახეთი, ზამთარი“.

ელენე ახვლედიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პეიზაჟური ფერწერის განვითარებაში. კრიტიკოსებმა და ხელოვნების მოყვარულებმა იმთავითვე შედევრებად აღიარეს მისი ნამუშევრები, რომელთაგან გამოირჩევა თბილისის, სიღნაღისა და თელავის პეიზაჟები.

განსაკუთრებული იყო ელენე ახვლედიანის დამოკიდებულება ძველი თბილისის მიმართ. როგორც მისი თანამედროვეები იხსენებდნენ, მხატვრის უშუალო ჩარევის შედეგად არაერთი ძველი შენობა გადაურჩა დანგრევას.

ელენე ახვლედიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული სცენოგრაფიის განვითარებას. მან სამოცდაათზე მეტი სპექტაკლი გააფორმა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობდა გამომცემლობებთან. ელენე ახვლედიანის საუკეთესო გრაფიკული ნამუშევრებია ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და პოემების ილუსტრაციები.

4.

ცნობილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი 1896 წელს დაიბადა თბილისში. 1914 წელს მან დაამთავრა თბილისის სამხატვრო სკოლა. მალე გაიმართა მისი პირველი პერსონალური გამოფენა. საზოგადოებამ ახალგაზრდა ფერმწერის შემოქმედება იმთავითვე დადებითად შეაფასა. პირველ წლებში გუდიაშვილის შემოქმედებაში ჭარბობდა როგორც ძველი თბილისის ბოჰემური ცხოვრების ამსახველი სცენები, ისე საქართველოს წარსულით შთაგონებული სიუჟეტები.

გუდიაშვილი ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომლის მიზანი ხელოვნებაში ეროვნული ფორმების დამკვიდრება იყო. მასზე დიდი გავლენა იქონია ძველმა ქართულმა კედლის მხატვრობამ და მინიატურამ. მხატვარმა გადაწყვიტა, რომ უკეთ გასცნობოდა ქართული ხელოვნების ისტორიას, ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. სწორედ ამ მიზნით მიიღო მან მონაწილეობა ექსპედიციაში, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა.

1919 წელს ახალგაზრდა მხატვარი პარიზში გაემგზავრა და ჩასვლისთანავე ჩაირიცხა რონსონის „თავისუფალ აკადემიაში“. იმდროინდელ ფრანგულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები მისი შემოქმედების შესახებ. გუდიაშვილის შესახებ მონოგრაფია გამოსცა ფრანგმა მწერალმა რეინალმა, რომელიც მოხიბლული იყო ქართველი ფერმწერის ორიგინალური სტილით.

1946 წელს გუდიაშვილმა მოხატა თბილისის ქაშუეთის ეკლესიის კედლები, რის გამოც სამხატვრო აკადემიიდან დაითხოვეს.

5.

შალვა ქიქოძე 1895 წელს დაიბადა სოფელ ბახვში. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიჭიერ ახალგაზრდას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სტიპენდია დაუნიშნა და იგი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1916 წელს შალვა ქიქოძის ჩაირიცხა მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში, კერძოდ, ფერწერის ჯგუფში.

არდადეგებზე საქართველოში ჩამოსული ქიქოძე დაუკავშირდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომლის დამფუძნებელიც იყო მისი უფროსი მეგობარი დიმიტრი შევარდნაძე. შალვა აქტიურად ჩაერთო საზოგადოების საქმიანობაში.

ქიქოძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებების მიერ ერთობლივად მოწყობილ პირველ ექსპედიციაში, რათა კულტურული მემკვიდრეობის უკეთ შესწავლის შესაძლებლობა მისცემოდა. ექსპედიციის მონაწილეები ძეგლებს წმენდდნენ და კედლის მხატვრობას ეცნობოდნენ. შალვამ იმუშავა XV საუკუნის ძეგლის, ნაბახტევის ეკლესიის, ფრესკების ასლების გადმოღებაზე. მხატვარმა ცხენით შემოიარა საქართველოს კუთხეები – (/:) ფშავ-ხევსურეთი, კახეთი, აჭარა.

1920 წელს შალვა ქიქოძე, როგორც სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების მიერ დანიშნული სტიპენდიით სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა. აქ მან მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების ყოველწლიურ გამოფენაში. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო პარიზის სხვადასხვა სამხატვრო გალერეაში.

6.

ვერა ფაღავა 1907 წელს დაიბადა თბილისში. მის მშობლებს განათლება უცხოეთში ჰქონდათ მიღებული. ვერას დედა პირველი გიმნაზიის დირექტორი იყო, ხოლო მამა, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტი გერმანიაში დაამთავრა, ირანში დიპლომატად მუშაობდა 1920-1921 წლებში. აღსანიშნავია, რომ ვერას ბებია ზიჩის შთაგონების წყარო იყო „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის სახის შექმნისას.

1922 წელს ვერა მამის ავადმყოფობის გამო ოჯახთან ერთად დროებით გერმანიაში გაემგზავრა. საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ფაღავებს სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება შეაცვლევინა. 1923 წელს ოჯახი გერმანიიდან საფრანგეთში გადავიდა და პარიზის გარეუბანში დასახლდა.

თავდაპირველად ვერა ფაღავა დეკორატიული ხელოვნების სკოლაში დადიოდა, ხოლო 1932 წელს რონსონის კერძო აკადემიაში ჩაირიცხა. 1943 წელს ფაღავამ ცნობილი გალერისტი ჟან ბიუშე გაიცნო. ბიუშეს, რომელიც აღფრთოვანებული იყო ფაღავას შემოქმედებით, დიდი წვლილი მიუძღვის მისი ნიჭის აღმოჩენასა და შემოქმედების პოპულარიზაციაში.

1958 წელს მსოფლიო გამოფენისათვის ვერა ფაღავამ ვატიკანის პავილიონში მონუმენტური ფრესკა შექმნა. 1966 წელს ვენეციის ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენაზე საფრანგეთი წარმოდგენილი იყო ფაღავას შემოქმედებით, რომელსაც ცალკე სივრცე ეთმობოდა. მისი ნამუშევრები პარიზის პომპიდუს ცენტრის კოლექციაშიც არის დაცული.

გ) კომენტარი

ამ დავალების შეფასებისას ჩანს, რომ აბიტურიენტთა ნაწილი ტექსტის რედაქტირების ნაცვლად მექანიკურად ეძებს და ასწორებს ცალკეულ ფორმებს, რაც განსაკუთრებით გაუმართლებელია სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომებისა და სტილისტური ხარვეზების გასწორების დროს. ფორმა, რომელიც შეცდომაა ერთ შემთხვევაში, სხვა კონტექსტში შეიძლება სწორი იყოს, ამიტომ ამ დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია აბიტურიენტმა ყურადღებით წაიკითხოს ტექსტი და შეცდომების გასწორებისას კარგად გაიაზროს კონტექსტი.

ტექსტის რედაქტირება ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით ფასდება. გაითვალისწინეთ, 2025 წლის საგამოცდო ტესტში მოცემული დავალების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ქულათა განაწილება შესაძლოა განსხვავებული იყოს, თუმცა ჯამური ქულა უცვლელი რჩება.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება[1]

ა) დავალებების ნიმუშები:

1. ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „სტუმარ-მასპინძელი“:

– სად მიხვალ, სადა, წყეულო?
საითკე მიეჩქარები?!
ვინ გაჭმევს კაის ყმის ლეშსა?
ძაღლო, დაგიდგა თვალები!
შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
ზვიადაურის ძვალები?! –
სთქვა ეს აღაზამ და ქვებსა
ესროდა ხშირა-ხშირადა.
მირბის და მისდევს შმაგადა
კლდიანი ხევის პირადა.
ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
მას ბანს აძლევენ მთანიცა,
სამდურავს ეუბნებიან
აღაზას გიშრის თმანიცა.
მოუახლოვდა თავის სახლს,
სინათლე მოსჩანს იქითა;
უნდა იძახოს: „მიშველეთ“,
ხმა მიაწვდინოს შიგითა,
მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა...
მივიდა სულშეხუთული
და გადაიქცა ზღურბლზედა.
კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
მუხლი გადეგდო მუხლზედა.

---

[1] დავით გურამიშვილის „დავითიანიდან” მოგეთხოვებათ შემდეგი მონაკვეთების ცოდნა: „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან”, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა”, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.

„ვაჰმეო“, – ეს კი იძახა,
სიტყვა გაუშრა ენაზე.
ქმარმა მოჰხვია ცოლს ხელი
და მიითრია კერაზე.
– რა დაგემართა, დიაცო? –
ჩაეკითხება მშფოთვარე, –
სხვა სადარდელი მაკლია,
ახლა შენ მექმნა მოზარე?!
რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბაგეო!
ხომ არვინ მოიწადინა
გადაეგორე მკლავზეო?
მითხარ, არ გაჭმევ იმის ჯავრს,
ვანანებ ემავ წამზეო.
ჩემის ნამუსის შემბღალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზეო,
როგორც ვანანე მუსასა
მიხდომა სხვისა კარზეო. –
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო
და თანაც ხანჯარს ჰბღუჯავდა
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტკნარებოდა სახეო.

თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
ელის, რას ეტყვის ცოლია,
შუაღამის დროს აღაზამ
თანთან მოიცა გონია.
უთხრა ჯოყოლას: „რას ამბობ?
თავი რად დაიღონია?
რად მოიგონებ იმასა,
რაიც არ მოსაგონია?
სულ ტყუილია... კაცისა
არსად მინახავს ჭაჭანი,
ვინ გამიბედავს მაგასა,
რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!
სასაფლაოდამ დავბრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
ცხენის მაგივრად ბედკრული
შიგ შევერიე დევებში.

დამიხვდა შავნაბდიანი,
უზარმაზარი ტანისა,
(ჯერაც თვალებში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა),
დიდყურა, კბილებღაჯუნა,
უმსგავსო, ფერად შავისა;
ხელები გამომიწვადა,
დიდი ხელები თავისა,
მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშავფრო ქუდი ტყავისა.
თან მითხრა: „ჩემთან წამოდი,
ჩემთან იცხოვრე, ქალაო,
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
არაფერს დაგიმალაო“.
მე გამოვიქეც, შევშინდი,
დევიც მომდევდა ღრიალით;
მთელი ქვეყანა იძვროდა

იმის ფეხებქვეშ გრიალით;
მზარავდა ეს ხმაც, მთა-ბარიც
წაღმა-უკუღმა ტრიალით,
ძლივს მოვაღწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით“.

ჯოყოლა ეტყვის: – „დევს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,
ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,
ჩემი ფიქრები ირევა.
ნამტირალევი რადა ხარ?
ღაწვებზე ცრემლი გდენია;
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარდო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაგფრენია.
ჩემს თვალებს ვერ დაემალვის
იმ გრძნობის ნაკვალევია;
არ შაიძლება არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევია!..“

– „რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა? –

ეტყოდა ცოლი და ნაზი
თრთოლა მიეცა ხმისადა –
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.
ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმე შეჰბრალებოდა!
მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა.
იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!“
– „მაგისთვის როგორ შეგრისხავ?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რა მხატვრული საშუალებაა:

„სამდურავს ეუბნებიან
აღაზას გიშრის თმანიცა“?

ა) ალუზია.
ბ) გაპიროვნება.
გ) ირონია.
დ) შედარება.

(1) 3. ჯოყოლას რა სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები:

„ვაჰმეო“, – ეს კი იძახა,
სიტყვა გაუშრა ენაზე“.

ა) განრისხებას.
ბ) იმედგაცრუებას.
გ) სინანულს.
დ) შეშფოთებას.

(1) 4. რატომ *„ჰბღუჯავდა“* ჯოყოლა ხანჯალს?

ა) აღაზას დასჯას აპირებდა.
ბ) ბრაზის მოთოკვას ცდილობდა.
გ) სიმშვიდეს ინარჩუნებდა.
დ) შურისძიება სწყუროდა.

(1) 5. რას ნიშნავს სიტყვები: *„გაჰმტკნარებოდა სახეო“*?

ა) გაფითრებული იყო.
ბ) გულგრილობა ემჩნეოდა.
გ) თვალცრემლიანი იყო.
დ) მრისხანება აღბეჭდვოდა.

(1) 6. რას გვეუბნება აღაზას შესახებ მისივე სიტყვები: *„რად მინდა ლეჩაქ-კაბანი“*?

ა) ნებისმიერ განსაცდელს ადვილად გადაიტანს.
ბ) შეუძლია მტერს მედგრად დაუპირისპირდეს.
გ) შეუძლია საკუთარი ღირსება თვითონ დაიცვას.
დ) წინაპართა ადათ-წესებს არასდროს უღალატებს.

(1) 7. რომელია ჰიპერბოლა?

ა) „მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშავფრო ქუდი ტყავისა“.
ბ) „შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
ზვიადაურის ძვალები?!“
გ) „ჩემის ნამუსის შემბღალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზეო“.
დ) „ხომ არვინ მოიწადინა
გადაეგორე მკლავზეო?“

(1) 8. რატომ უჭირს აღაზას ჯოყოლასათვის გონების დაკარგვის ნამდვილი მიზეზის გამხელა?

ა) ეშინია, რომ ქმარი მის საქციელს ვერ გაიგებს.
ბ) მიაჩნია, რომ ქმარი საქვეყნოდ შეარცხვინა.
გ) ნანობს, რომ ოჯახის მოსისხლე შეიბრალა.
დ) რცხვენია, რომ გულჩვილობა გამოიჩინა.

(1) 9. რომელი სტროფიდან ჩანს, რომ ჯოყოლა კარგად იცნობს ცოლის ბუნებას?

ა) „ნამტირალევი რადა ხარ?

ღაწვებზე ცრემლი გდენია“.

ბ) „რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბაგეო!“

გ) „სადარდო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაგფრენია“.

დ) „ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!“

(1) 10. აღაზას რა თვისება ჩანს სიტყვებში:

„იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო“?

ა) გამჭრიახობა.
ბ) გულწრფელობა.
გ) მოხერხებულობა.
დ) შორსმჭვრეტელობა.

(1) 11. რატომ მოუწონა ჯოყოლამ მეუღლეს საქციელი?

ა) მიაჩნია, რომ დაღუპულის დატირება ყველას მოვალეობაა.
ბ) მიაჩნია, რომ ვაჟკაცობის დაფასება კეთილშობილური საქციელია.
გ) ხვდება, რომ აღაზას საქციელი წამიერი სისუსტის გამოვლინებაა.
დ) ხვდება, რომ ოჯახური ურთიერთობის გამწვავება დაუშვებელია.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ადამიანებს შორის ურთიერთგაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მათ საერთო ფასეულობები აქვთ.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ფიროსმანი“:

– ფიროსმანმა რომ სმას უმატა და უმატა, – გვიყვებოდა ერთი თვალებგაბრწყინებული ყმაწვილი კაცი, – მეგობარმა მხატვრებმა გადაწყვიტეს რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაიღუპებაო. ფული შეაგროვეს, ღვინის სარდაფი უყიდეს მთელი უძრავ-მოძრავით, ჩააბარეს და დაანამუსეს: ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნუღარ წახვალ, ისევ აქ დალიეო. ფიროსმანი ყველაფერზე დათანხმდა. ასეთი კაცი იყო – მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ბავშვს რომ ეთქვა: – არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვისო, – თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: – მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზეო. მეგობარ მხატვრებთან ხომ შემოპარული კაცივით იქცეოდა... თუ, რა თქმა უნდა, ჟინის ჭია არ ჰყავდა შემჯდარი.

არავინ არ იცის მისი დახლის ამბავი. სარდაფი ყოველთვის სავსე იყო მუშტრით, აურაცხელი ღვინო-არაყი ისმებოდა, სარდაფის პატრონს კი, ისევ „ხუდოჟნიკ ნიკალას“[2] რომ ეძახდნენ, ყოველთვის ერთი მუხლებთან გამობერილი „დიაგანალის“ შარვალი და სატინის ხალათი ეცვა, ყოველთვის დაბრეცილი ჩექმებით დადიოდა.

ეს კია – შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიათად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა. მაშინ მხრებშემოჭმუჭნულ პიჯაკს შემოიცვამდა, ჩექმებს გააპრიალებდა, თმას დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიპეწავდა და გოლოვინის პროსპექტზე[3] გავიდოდა. მიდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მძიმედ, ხველებ-ხველებით, ხან ამას დაუძახებდა სიცოცხლესა და გამარჯვებას, ხან იმას. თუ რაღაც საინტერესო რამ იყო – ქართულ თეატრში ან ოპერაში შეუხვევდა...

იმ შემოდგომას ერთი ფრანგი მოცეკვავე ქალი ჩამოვიდა. მარგარიტა ერქვა. ცეკვით ხომ ცეკვავდა, ლამაზი იყო – მთელი თბილისი გადარია. ეს გაფცქვნილი თავადები და თავქარიანი სტუდენტები უკანასკნელ ხონჯრებსაც კი აგირავებდნენ, ოღონდ იმ ქალისთვის ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი. თეატრის წინ ზედახორა ჰქონდათ გამართული. იყო ხორხოცი, ბილწსიტყვაობა, ჟინიანი ხვიხვინი და ათასი სხვა ოხრობა.

აბა, ფიროსმანი რაღა დღეში ჩავარდებოდა – ლამაზი რამის გულისთვის ეშმაკსაც კი რომ მიჰყიდდა სულს! ტყავი გაიძრო, ვიღაც სპეკულანტი[4] ააშენა და პარტერის რიგში გამოიჭიმა.

ზის და ელოდება.

აიხადა ფარდა. გამოჩნდა ის დედოფალასავით თვალებფოფინა მარგარიტა. დარბაზმა იქუხა, ვიღაც-ვიღაცები დასაბმელები გახდნენ. ფიროსმანი კი ზის და მარტო ის ემჩნევა, რომ წელში იმართება და სახე ებადრება თანდათან. ასე ამაღლებული, სახეგაბრწყინებული იჯდა პირველ განყოფილებაზე, ანტრაქტზე, მეორე განყოფილების დაწყებისას... მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი და გარეთ გავარდა. თავისი ღვინის სარდაფი მთელი უძრავ-მოძრავით, ვიღაც სომხის მიკიტანს მიაჩეჩა, სურათები იყო თუ იარაღები, ისიც ზედ მიაყოლა, აღებული ფულით მებაღეებს და საყვავილეებს ჩამოუარა, რაც კი თბილისში შემოდგომურა ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა, ათი ეტლი დააზვინინა და სასტუმრო „პალას-ოტელს“ მიაყენა.

წარმოდგენის შემდეგ ბანკეტი ჰქონდათ. მარგარიტას იქ შეგვიანებოდა და სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. ყვავილებით სავსე ეტლები სასტუმროს წინ ასე ორ მწკრივად იდგნენ.

---

[2] **ხუდოჟნიკი** – მხატვარი.

[3] **გოლოვინის პროსპექტი** – დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი თბილისში.

[4] **სპეკულანტი** – გადამყიდველი.

– მეჩვენება თუ რა არისო, – შიშით შეჩერდა მარგარიტა, მაგრამ ამ დროს ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი წარუდგა წინ, ერთი დიდი ხავერდოვანი შავი ვარდი მიართვა და თავაზიანად მოახსენა:

– ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროსმანი გიძღვნით თქვენო.

მარგარიტა არაერთი ევროპელი თავიგლეჯია ვაჟკაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც პირველად ხედავდა.

– მხატვარი? თვითონ მხატვარი სად არისო.

ამაზეც უბრალოდ, თავაზიანად მოახსენეს: აქ, ჩვენთან, მტკვრის პირას, ბაღია. ბაღში დიდი ხეები დგას და დიდი მთვარე იცის. ფიროსმანი ახლა იქა ზის და თქვენს სადღეგრძელოს სვამსო.

ამან მთლად გადარია: წავალ და მე თვითონ ვნახავო, მაგრამ ვიღაც დარბაისლებმა უდროობა მოიმიზეზეს, ვიღაცებმა ხვალინდელი დღე შეახსენეს, თვითონაც იფიქრა – ვაითუ დაღლილ-დაქანცულს ცუდი შთაბეჭდილება დაეტოვებინა მხატვარზე, რომელიც უთუოდ დიდი გემოვნების პატრონი ჩანდა. დანაღვლიანდა, განმარტოვდა და მერე თვალცრემლიანმა იმ ქართულ ქულაჯიან ბიჭს თავისი სურნელოვანი სადარბაზო ბარათი გაატანა „ბატონ ფიროსმანთან“: ნაშუადღევისათვის დიდის მოწიწებით თავისთან იწვევდა.

ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით. ვინც კი აიარ-ჩამოიარა, ყველა სუფრაზე მიიპატიჟა, ხელადები დააჯარებინა, დამკვრელების კიდევ ერთი დასტა დაისვა და ქეიფი განაახლა.

ეს დალოცვილი სასმელი უგემურად არასოდეს სჩვენებია, მაგრამ იმ დღეს მთლად გაახელა. ფიალას ფიალაზე სცლიდა, ტიროდა, იცინოდა, ყველაფერი ელამაზებოდა, ყველაფრის გულში ჩახუტება უნდოდა, ყველაფერზე მტლად დადებას ეპირებოდა.

გათენდა. ამოვიდა მზე.

– გეყოფა, ნაშუადღევს სხვაგან ხარ წასასვლელიო! – რამდენჯერმე შეახსენეს მეგობრებმა, მაგრამ ფიროსმანმა ნაშუადღევამდე ვერ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი და ვერც ძმაბიჭების „ალავერდი-იახშიოლ“...

გვიან ღამით წამოდგა. ქამარი გაისწორა, პიჯაკს მკლავი გაუყარა, საყველაწმინდო დალია, ულვაშები ხელის გულით გადაიპეწა და ეტლი „პალას-ოტელისაკენ“ დააძვრევინა.

იქ შემდეგი მოახსენეს:

– ქალბატონი მარგარიტა ნაშუადღევიდან ვიღაცას ელოდა, ნერვიულობდა, წუხდა, სხვა არავინ მიუღია... ხოლო ცხრა საათზე პეტერბურგს გაემგზავრა თავის თეატრთან ერთადო.

ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისკენ დაახვევინა, იქ ბალახებზე წაიქცა, ხელადა ჩაიხუტა და გაქვავდა.

მედუდუკეებმა გუმანით იგრძნეს, რა ცეცხლიც მოსდებოდა მათ საყვარელ მხატვარს, – ვაიმე, ვაიმეო, – გააქნიეს თავები სინანულით, ერთმანეთს გადახედეს და დამწვრისა დაუკრეს: „კარგი იყო არ მენახე თავიდანო“ და სხვა...

აი, მეგობრებო, როგორ ლამაზად ავსებს თავისი დიდი მხატვრის უცნობ ბიოგრაფიას ჩვენი ჭკვიანი ხალხი. შენ, ვიცი, რასაც მეტყვი: ფიროსმანისთვის ღვინის სარდაფი არავის არ უყიდნიაო, ფიროსმანს ფრანგი მარგარიტასთვის ეტლებით ყვავილები არ მიუძღვნიაო, შავი ვარდი რაღაა, ეს რაღამ მოაგონათო... რამ მოაგონათ მთლიანად ეს ამბავი – წადი და თუ ამ ქვეყანაზე თითო თლაშოი[5] არყის ფასად დახატული, ბავშვის თვალებივით მეტყველი სურათები შეგხვდეს სადმე – ამას ეს სურათები გეტყვიან მხოლოდ...

[5] **თლაშო** – არყის სასმელი თლილი ჭიქა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. ფიროსმანის რა თვისება ჩანს სიტყვებში: *„შემოპარული კაცივით იქცეოდა“*?

ა) სითამამე.
ბ) მორიდებულობა.
გ) დაუფიქრებლობა.
დ) სიჯიუტე.

(1) 3. რატომ არ ვაჭრობდა ფიროსმანი *„შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიათად მატულობდა“*?

ა) შაბათობით ორთაჭალის ბაღებში მეგობრებთან ქეიფობდა.
ბ) შაბათს ბევრი მუშტარი მოდიოდა და შრომა ეზარებოდა.
გ) არ უნდოდა, რომ სხვის დუქნებს შემოსავალი მოჰკლებოდა.
დ) დიდი შემოსავლის მიღებით არ იყო დაინტერესებული.

(1) 4. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: *„ეშმაკსაც კი რომ მიჰყიდდა სულს“*?

ა) ახლობელს გაწირავდა.
ბ) ბოროტებას ჩაიდენდა.
გ) ეშმაკს დაიმორჩილებდა.
დ) არაფერს დაიშურებდა.

(1) 5. რას ნიშნავს სიტყვა *„გაფცქვნილი“*?

ა) გაღატაკებულს.
ბ) გათავხედებულს.
გ) გაგულისებულს.
დ) გაქნილს.

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა: *„დედოფალასავით თვალებფოფინა“*?

ა) ალუზია.
ბ) გაპიროვნება.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 7. **რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვა** *„მიაჩერა“*?

ა) ნაჩქარევად მიჰყიდა.
ბ) დროებით მიაბარა.
გ) უანგაროდ გადასცა.
დ) ძვირი დაუფასა.

(1) 8. **რა იყო მარგარიტას დანაღვლიანებისა და განმარტოების მიზეზი?**

ა) ერთიანად შეძრა უცნობი მხატვრის უჩვეულო საჩუქარმა და ქცევამ.
ბ) მიხვდა, რომ ასეთ გემოვნებიან ადამიანს ვერასოდეს შეხვდებოდა.
გ) შეწუხებული იყო აბეზარი თაყვანისმცემლების ზედმეტი ყურადღებით.
დ) განაწყენებული იყო, რადგან მხატვარი პირადად არ მივიდა მის გასაცნობად.

(1) 9. **რომელ ფრაზაშია გამოყენებული ჰიპერბოლა?**

ა) „დიდის მოწიწებით თავისთან იწვევდა“.
ბ) „კიდევ ერთი დასტა დაისვა და ქეიფი განაახლა“.
გ) „ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით“.
დ) „ეტლები სასტუმროს წინ ასე ორ მწკრივად იდგნენ“.

(1) 10. **მხატვრის რა მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები:** *„ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები“*?

ა) ფიროსმანი შეშფოთებულია.
ბ) ფიროსმანი გულმოკლულია.
გ) ფიროსმანი განრისხებულია.
დ) ფიროსმანი შეურაცხყოფილია.

(1) 11. **რა იგულისხმება სიტყვებში:** *„ბავშვის თვალებივით მეტყველი სურათები“*?

ა) ბავშვების სურათები.
ბ) ფიროსმანის ნახატები.
გ) მარგარიტას პორტრეტები.
დ) ორთაჭალის ბაღები.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ცნობილი ადამიანების ცხოვრებას ხშირად ხალხი საკუთარი ფანტაზიით ამდიდრებს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

2.

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ხალხური „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“:

მოყმემა პირშიშველამა,
შიბნ გაიარნა კლდისანი.
მოინადირნა, დალახნა,
ბილიკნი ჭიუხისანი.
შამახვდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი,
ჯიხვსა თოფ დახკრა ბერხენსა[6],
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.
შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა,
დრონ იყვნენ შუაღმისანი.
ვეფხვი რო წამოუფრინდა,
თვალნი არისხნა ხთისანი.

შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,
მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი.

დრო აღარ დარჩა მოყმესა,
ხანნი რომ ჰქონდეს ცდისანი.

[6] **ბერხენი** – ბებერი და დიდი ტანის ჯიხვი.

ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით[7] გაართვნა კალთანი,
ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი,
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა[8],
დრონ იყვნენ წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა,
ჩამოაწითნა ქვიშანი.
თავად კლდის თავზე შემოწვა
მოყმე სულამამდინარი,
ქვიშას მიჰღებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი, –
„უერთოდ კი რა იხარჯნეს
ჩვენ მონადირის ისარნი!“
იარებოდა დედაი
ტირილით, თვალცრემლიანი:
„ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს – ხმლით, იმას – ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,
იმათ დახოცეს ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანი“.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭითა დაჭრილსა:
„შვილო, არ მოჰკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დააცალია,

[7] **გაზი** – ბრჭყალი, კლანჭი.
[8] **ფრანგული** – ერთგვარი ხმალი.

ველარც შენ დაიფარიე

შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტები,
ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია.
ლაშქარში, მეგობარშია
არ იყავ საწუნარია!
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია,
ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია“.

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიდევ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაღვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდ

გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემი შვილისა.
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **2. რაზე მიუთითებს სიტყვა** *„პირშიშველამა“***?**

ა) მოყმე ვეფხვს შიშველი ხელებით ებრძვის.
ბ) მოყმე პირისპირ ბრძოლაში გამოცდილია.
გ) მოყმე ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცია.
დ) მოყმის ხმალს ბასრი პირი აქვს.

(1) 3. რა მიზნით *„შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა“* **მოყმე?**

ა) ვეფხვთან შებმა და მისი დამარცხება სწყუროდა.
ბ) ვეფხვის ბუნაგში თავის შეფარებას ცდილობდა.
გ) მძინარე ვეფხვის ახლოდან ნახვა სურდა.
დ) საკუთარი იარაღის ბრძოლაში გამოცდა უნდოდა.

(1) 4. რა მხატვრული საშუალებაა: *„მაშინ დაიძრნეს მიწანი“***?**

ა) ალუზია.
ბ) გაპიროვნება.
გ) ეპითეტი.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 5. რას გამოხატავს სიტყვები: *„გაზით გაართვნა კალთანი“***?**

ა) ვეფხვმა მოყმეზე გამარჯვება ვერაფრით მოახერხა.
ბ) ვეფხვმა მოყმეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.
გ) ვეფხვს მოყმის დასამარცხებლად ძალა არ ეყო.
დ) ვეფხვი მოყმის ყურადღების გაფანტვას შეეცადა.

(1) 6. რის თქმა სურს დედას სიტყვებით: *„არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი“***?**

ა) მის შვილს არ აღმოაჩნდა სათანადო გამბედაობა.
ბ) მისი შვილი ვეფხვს მოუმზადებელი შეებრძოლა.
გ) მისი შვილი უძლური აღმოჩნდა ვეფხვის წინაშე.
დ) მისმა შვილმა ვერ გამოიჩინა წინდახედულობა.

(1) 7. რაზე მიგვანიშნებს სიტყვები: *„არ დარჩენ სირცხვილიანი“***?**

ა) ერთმანეთს სირცხვილი აჭამეს.
ბ) ერთმანეთს უპატივცემულოდ მოექცნენ.
გ) ორივე ვაჟკაცურად იბრძოდა.
დ) სიცოცხლის დათმობა ორივეს გაუჭირდა.

(1) 8. რის თქმა სურს დედას შვილისათვის სიტყვებით: *„ხმალი ქნევაში გაგიცვდა“***?**
ა) ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდი.

ბ) ბრძოლაში სიმარჯვე ვერ გამოიჩინე.
გ) გაცვეთილი ხმლით იბრძოდი.
დ) ხმალი საჭირო დროს არ გამოგადგა.

(1) 9. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „დღე დაუღამდათ მზიანი“.
ბ) „ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა“.
გ) „კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი“.
დ) „ხანნი რომ ჰქონდეს ცდისანი“.

(1) 10. დედის აზრით, რატომ არ არის მისი შვილი სატირალი?

ა) რადგან ბერხენი ჯიხვი მოკლა.
ბ) რადგან ვეფხვს სასტიკად მოექცა.
გ) რადგან მეგობრებზე ძლიერი აღმოჩნდა.
დ) რადგან საოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინა.

(1) 11. დედის რა თვისება ჩანს სიტყვებში:

„ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია“?

ა) თავმდაბლობა.
ბ) სიამაყე.
გ) სიმკაცრე.
დ) ქედმაღლობა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. სულგრძელი ადამიანი დიდი ტრაგედიის დროსაც კი არ კარგავს თანაგრძნობის უნარს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“:

შვიდი ხევისბერი მოსხდომოდა ტაბლას... სათითაოდ შეიცნო არსაკიძემ ფხოველნი: მუროჩი ქალუნდაური, მამუკა ბალაჩაური, მარტია ბაღათაური, ზეზვაი მისურაული, ბერდია ბებურაული, უშიშა ღუდუშაური და შიოლა აფხანაური.

ისხდნენ წვერგაბურძგვნილი, რკინის ჩაბალახიანი ხევისბერები, ჭაღების ლიცლიცზე კაშკაშებდნენ ხოჭოსფერი თორნი. თავჩაქინდრულნი უსმენდნენ შორენას…

„დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის. უჩემოდ ნუ დაიწყებთ ამბოხს. წყაროსთვალის წმინდა გიორგის ხატობაზე კვეტარში გავჩნდები.

მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს შევირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები წითელის დროშით. მაშინ გამოჩნდება ქუდოსანთა სიმამაცე, ფხოველნო!

ჩემი ბედი, თავადიციხე რომ არ დაარღვია მეფე გიორგიმ კვეტარში, საბრძოლო გოდოლები მოათავეთ როგორმე.

მამაჩემის ბრალი ეს იყო: ფხოვში შემოსვლა რომ აცალა ზვიადის ლაშქარს.

მეფე ციხეში შეიპატიჟა, ზვიადის მოსვლამდის არ დასთხარა თვალები.

ამიერიდან არ გავიმეოროთო ასეთი შეცდომა, ფხოველნო, გუდამაყარში შევეგებოთ ზვიადის ჯარებს“.

წამოდგა უხუცესი, მუროჩი ქალუნდაური.

მამამზემ და ტოხაისძემ დაგვაღალატაო იმჯერად. პირობა ჰქონდათო, გუდამაყარში შებმოდნენ ზვიადს.

ესა სთქვა ქალუნდაურმა და არსაკიძე შეშფოთდა ანაზდად. ხედავდა: ცუდ საქმეში აბამდნენ შორენას.

ვეღარ მოითმინა, კარი შეაღო და დარბაზში შევიდა ჯიქურად.

წამოცვივდნენ თორიანი ხევისბერები.

ცხვრის სუნი ეცა არსაკიძეს, ერბოს სუნში აღრეული ცხვრის სუნი.

***

იცოდა არსაკიძემ, ფხოველებს შორისაც რომ არ იყო თანხმობა: მუროჩი ქალუნდაური და უშიშა ღუდუშაური ებრძოდნენ ურთიერთს იდუმალ.

თალაგვა კოლონკელიძეს დროებით უჭერდნენ ხევისბერები მხარს.

დაამარცხებდნენ ზვიადის ლაშქარს? მეორე დღესვე თავს წასჭრიდნენ თვალდამწვარ ერისთავს, რადგან გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთებდა ხევისბერებსა და ხევისთავებს მასთან.

როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების შემდეგ უთუოდ აირეოდა მონასტერი, ორივე შემთხვევაში უცილო დაღუპვა მოელოდა შორენას.

***

ქალი აილეწა.

უჩემოდ ვინ გაგაცნოო ჩემი საიდუმლო, უტა?..

„ხომ გახსოვს, თქვენსას რომ ვიყავი იმ საღამოს... უნებლიედ ვისმინე, რაც ხევისბერებს შენ უთხარი, ჩემო“.

შორენამ თავი ჩაჰქინდრა, მერმე თვალი გაუმართა კონსტანტინეს:

„მე ამისთვის არ მოვსულვარ, უტა, არც მსხვერპლს მოვითხოვ რაიმეს შენგან. უთქმელადაც ვიცი, შენ ვერც შესძლებ ამას...

ახდილად გითხრა? ეგეც კარგად მესმის – შენსა და ჩემს შორის რა მაღალი კედელი აღუმართავს ბედს. შენი სვეტიცხოვლის სიმაღლე ქვის კედელი, უტა“.

„მე ასე მგონია, ჩემო, შენმა სიცოცხლემ რომ ეს მოითხოვოს, მე საკუთარს იოლად დავთმობ, იცოდე”.

ქალმა შეხედა, არსაკიძემ უსიტყვოდ შეატყო: დიაცმა ირწმუნა ეს...

„ ...მაგრამ უმთავრესი მაინც ეგაა, – სხაპასხუპით წამოაწია სიტყვა უკვე თქმულს. – ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შვებას.

მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი. მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ.

ჩემდა თავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად.

ამიტომაც ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს.

ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა, ჩემო.

თქვენს ხევისბერებს ჯერაც ცხვრის სუნი უდით და შენ ხომ იცი, ფარას თუ ყოჩი არ წარუძღვანე, კბოდეზე გადასცვივა სულელი ცხვარი.

შენი სიტყვები მკაფიოდ მესმოდა ღია კარიდან. ჩემისთანანი თუნდაც ათასიც წამოგეხმარონ და ვაჯობოთ კიდევაც ზვიადის ლაშქარს, მეორე დღესვე იგივე დატრიალდება ფხოვში, რაც კვეტარის ციხეში მოხდა იმ ღამეს.

ერისთავი უსინათლოა, შენ ქალი ხარ, ხევისბერები და ხევისთავები დაერევიან ურთიერთს, ამასობაში გზებიც გაიხსნება, ზვიადის ლაშქარი მოვა ხელახლა, დიდსა და მცირეს გაჟუჟავენ, იცოდე“.

ორივე იდაყვი მუხლზე დაებჯინა, ხელისგულები სახეზე შემოედგა, ბავშვივით უსმენდა არსაკიძეს დიაცი. მერმე წამოდგა, აუღელვებლად, მშვიდად ეუბნება ვაჟს:

„შენ ხომ იცი, უტა, ხანდახან გონებაა დახშული, ხანაც გულისკარია ღია. შენი ნათქვამი სწორი იყოს ეგების, მაგრამ მათთვის ჩემი გული დახურულია. მე სიტყვა მივეცი ხევისბერებს უკვე, წყაროსთვალის წმინდა გიორგის დღეობაზე ფხოვში ვიქნები და იქ დაველოდები-მეთქი ზვიადის ლაშქარსა და სიკვდილს...“

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რა მიზნით ესტუმრნენ ფხოველი ხევისბერები შორენას?

ა) თალაგვას თვალების დათხრის გამო თანაგრძნობა რომ გამოეხატათ.
ბ) მამამზე ერისთავისა და შავლეგ ტოხაისძის ღალატი რომ ეცნობებინათ.
გ) გიორგი მეფის წინააღმდეგ დაგეგმილ ამბოხებაში რომ ჩაერთოთ.
დ) წყაროსთვალის წმინდა გიორგის ხატობაზე რომ დაეპატიჟებინათ.

(1) 3. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „შენსა და ჩემს შორის რა მაღალი კედელი აღუმართავს ბედს“.
ბ) „წყაროსთვალის წმინდა გიორგის ხატობაზე კვეტარში გავჩნდები“.
გ) „შვიდი ხევისბერი მოსხდომოდა ტაბლას...“
დ) „ლაშქარს გავუძღვები წითელის დროშით“.

(1) 4. შორენას აზრით, რა შეცდომა დაუშვა წარსულში თალაგვა კოლონკელიძემ?

ა) ზვიადის ლაშქარს კვეტარის ციხესთან რომ შეებრძოლა.
ბ) საბრძოლო გოდოლები მზად რომ არ ჰქონდა.
გ) ხევისბერებთან საერთო ენის გამონახვა რომ სცადა.
დ) გიორგი მეფეს თვალები რომ არ დასთხარა.

(1) 5. კონსტანტინე არსაკიძის აზრით, რა აერთიანებდა ფხოველ ხევისბერებს?

ა) თავიანთი ხალხის სიყვარული.
ბ) გიორგი მეფის სიძულვილი.
გ) თალაგვას დახმარების სურვილი.
დ) საკუთარი რწმენის ერთგულება.

(1) 6. რა ადარდებდა ყველაზე მეტად კონსტანტინე არსაკიძეს?

ა) სვეტიცხოვლის დასრულებას ვერ მოახერხებდა.
ბ) სარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლა მოუწევდა.
გ) ხევისბერებს შორის უთანხმოება ღრმავდებოდა.
დ) შორენას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

(1) 7. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი?

ა) „დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის“.
ბ) „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი“.
გ) „როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების შემდეგ უთუოდ აირეოდა მონასტერი“.
დ) „ფარას თუ ყოჩი არ წარუძღვანე, კბოდეზე გადასცვივა სულელი ცხვარი“.

(1) 8. არსაკიძის აზრით, რა შემთხვევაში უშვებენ შეცდომას ადამიანები?

ა) როცა ერთ უსამართლობას მეორე უსამართლობით ცვლიან.
ბ) როცა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას მუდმივად აკრიტიკებენ.
გ) როცა ერთპიროვნული მმართველობის დამყარებას ცდილობენ.
დ) როცა საერო და სასულიერო ხელისუფალთ უპირისპირდებიან.

(1) 9. რა პოზიციას გამოხატავს არსაკიძის სიტყვები: *„მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ“*?

ა) ქვეყნის ძლიერებისათვის ერთმმართველობა უმჯობესია.
ბ) ყველასთვის მოსაწონი კანონების მიღება შეუძლებელია.
გ) შინააშლილობა უსამართლო მმართველობის შედეგია.
დ) ძალაუფლებისათვის ბრძოლა კონფლიქტების საფუძველია.

(1) 10. არსაკიძის აზრით, რატომაა ფხოველთა შეთქმულება მარცხისთვის განწირული?

ა) ზვიადის ლაშქრის დამარცხება შეუძლებელია.
ბ) ქალთან ერთად ბრძოლას არავინ დათანხმდება.
გ) ხევისბერებს მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს.
დ) ხევისბერთა და ხევისთავთა ერთობა სუსტია.

(1) 11. რა არის ბოლო აბზაცის მთავარი სათქმელი?

ა) ზოგჯერ ადამიანი საკუთარი გონების ტყვე ხდება.

ბ) ზოგჯერ ადამიანი საკუთარი სიტყვის ტყვე ხდება.
გ) ზოგჯერ ადამიანი საკუთარი მოვალეობის ტყვე ხდება.
დ) ზოგჯერ ადამიანი საკუთარი სურვილების ტყვე ხდება.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. შურისძიების გრძნობა ხშირად ადამიანს ხელს უშლის, რომ რეალობა ობიექტურად აღიქვას.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

3.

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ „ვეფხისტყაოსნის“ მონაკვეთი:

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩს ვითა შვილი.
ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი.
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი.

თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა,
ადგა და კარსა მივიდა, ჰქონდა მზისაცა ცილობა,
მოლარე იხმო, უბრძანა: „ძილია თუ ღვიძილობა?“
მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა.

ერთიღა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა,
უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამით-ა“.
თინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესლვა არ ჩემგან ჟამით-ა,

მიკითხოს, ჰკადრე: იყო-თქო აქა ერთითა წამითა“.

ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტარ, რასა იქმს ქალიო,
ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწეღა ფერ-ნამკრთალიო,
დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.

უბრძანა, თუ: „წადი, უხმე! უმისობა ვით გავსძლეო?
მოახსენე: „რად დაჰბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,
გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო“.

თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა,
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა.
მამამან გვერდსა დაისვა, აკოცებს ნება-ნებასა,
უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?“

ქალმან ჰკადრა: „ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს!
თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს!
კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“.

უბრძანა: „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,
მომაქარვები სევდისა, მართ ვითა მუფარახია.
ვეჭვ, რა სცნა, შენცა მამართლო ჩემი სულთქმა და ახია.

უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე,
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე.
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე,
ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე.

მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა,
შესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა,
ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა,
ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა.

აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული!
მან დამიხოცა ლაშქარი, სისხლი ადინა ღვარული.
კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული?
უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული.

ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ვეღარავინ მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხნენ, ვეღარამან გამახარნეს!“
ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:

ჰე, მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!

მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი,
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი.
გაგზავნე კაცი, ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი,
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რა აცნობა მოლარემ მამის სანახავად მისულ თინათინს?

ა) მეფე დამწუხრებული იყო და არავისთან შეხვედრა არ სურდა.
ბ) მეფე ვეზირებს სახელმწიფო საქმეების შესახებ ესაუბრებოდა.
გ) მეფე უცნობ ჭაბუკთან შეხვედრის გამო დადარდიანებული იყო.
დ) მეფე უცნობი მოყმის შესაპყრობად ლაშქრის გაგზავნას გეგმავდა.

(1) 3. რატომ არ შევიდა თინათინი მეფესთან?

ა) არ დაიჯერა, რომ მოლარემ რეალური ამბავი იცოდა.
ბ) არ უნდოდა, რომ ავთანდილს პირისპირ შეხვედროდა.
გ) გადაწყვიტა, რომ დრო უშედეგო საუბარში არ დაეკარგა.
დ) უნდოდა, რომ სასაუბროდ შესაფერისი დრო შეერჩია.

(1) 4. როგორია როსტევანის დამოკიდებულება თინათინის მიმართ?

ა) მისი აზრები და რჩევები აფორიაქებს.
ბ) მის უპირატესობას არ აღიარებს.
გ) ნაწყენია უყურადღებობის გამო.
დ) უსაზღვროდ უყვარს და ენდობა.

(1) 5. რა არ მოუწონა თინათინმა მამას?

ა) მონების იმედად ყოფნა რომ გადაწყვიტა.
ბ) პრობლემის მოგვარებას ჭმუნვა რომ არჩია.
გ) სასახლის სტუმრები ადრე რომ დაითხოვა.
დ) საქმის მოგვარება ავთანდილს რომ ანდო.

(1) 6. როსტევან მეფის მონათხრობის მიხედვით, რატომ სურდა მას უცხო მოყმესთან შეხვედრა?

ა) მოყმის ვინაობა და მისი წუხილის მიზეზი რომ გაეგო.
ბ) მოყმისთვის თავისი ლაშქრის წევრობა რომ ეთხოვა.
გ) რაინდის ხორციელ ბუნებაში რომ დარწმუნებულიყო.
დ) უცნობი ჭაბუკის უჩვეულო მშვენება ახლოდან რომ ენახა.

(1) 7. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში: *„მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“*?

ა) ალეგორიას.
ბ) ეპითეტს.
გ) შედარებას.
დ) ჰიპერბოლას.

(1) 8. მეფის აზრით, რა გახდა მისი უბედურების მიზეზი?

ა) ეშმაკი შეუჩნდა.
ბ) ლაშქარი გაუორგულდა.
გ) სიბერემ დააუძლურა.
დ) ღმერთმა მოიძულა.

(1) 9. რას ნიშნავს თინათინის სიტყვები: *„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“*?

ა) კეთილის შემოქმედი ღმერთი ბოროტ ძალას რატომ შექმნის.
ბ) კეთილის შემქმნელს ბოროტის შექმნაც ადვილად შეუძლია.
გ) სიკეთის მსახურ მეფეს ბოროტი ძალა რატომ უნდა მოერიოს.
დ) სიკეთეც და ბოროტებაც ადამიანს გამოსაცდელად ევლინება.

(1) 10. რა ურჩია თინათინმა მამას?

ა) დარდი დროსტარებით გაექარვებინა.
ბ) უცნობი ჭაბუკი სამუდამოდ დაევიწყებინა.
გ) უცნობი ჭაბუკი ყველგან მოეძებნინებინა.
დ) ყველაფერი უცვლელად დაეტოვებინა.

(1) 11. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი აფორიზმი მიესადაგება ამ ეპიზოდს?

ა) „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.
ბ) „არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა“.
გ) „არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჯავესი წმახისა“.
დ) „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. გონიერი ადამიანი კრიტიკულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას უნდა ცდილობდეს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ზაირა არსენიშვილის რომანიდან „ვა, სოფელო...“. რომანის პერსონაჟი სპირიდონა შვილის გადასარჩენად თავის ძველ ნაცნობს, სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელ ალიოშას, მიაკითხავს.

– ცნობაა საჭირო, ცნობა, ბიჭისთვის, უნივერსიტეტიდან რომ არ გამორიცხონ, სოცმდგომარეობის ცნობა... – ამოიკვნესა სპირიდონამ.

– ო, შავსიელი[9] არა ხართ?

– უნდა ამომშალოთ შავსიიდან... ხო ჩამომართვეს დუქანი, წინააღმდეგობა არავისთვის გამიწევია...

სპირიდონამ ხალათის ჯიბიდან გაზეთ „ბრძოლის“ ძველთაძველი ნომერი ამოიღო. გაშალა და ალიოშას მაგიდაზე დაუდო, ისევ მოჰყვა ჯიბეების ქექვას, აი, ეს პროკლამაციაც, განა ადვილი იყოო ეგეთი პროკლამაციების გავრცელება, რამდენი ხიფათი უნახავს... ეგეთი წარსული ააქვს, ნუთუ ერთი ცნობის ღირსი აღარ არის...

– ძია სპირიდონ, რა ვქნა, პირდაპირ უნდა გითხრათ, რომა მაგ ყველაფერს იმ შემთხვევაში ექნებოდა ფასი, თუკი ეხლაც რაღაც გზას დაადგებოდით, განახლებული ცხოვრებისა და სოციალიზმის მშენებლობის გზას, პარტიის გენერალურ ხაზს, თუკი რევოლუციის მონაპოვარს დაიცავდით, მაშინ მეც რაღაცა მეთქმოდა, მეც შემეძლო, უკან არ დამეხია, წინააღმდეგ შემთხვევაში წარსულ რევოლუციონერობას, რომელსაც რო უღალატეთ, ეხლა რა აზრი აქვს? ხო აშკარაა, რო დუქანი უფრო გეტკბილებოდათ პარტიაზედაცა და რევოლუციონერობაზეც და ეხლა კიდე პირადი

[9] **შავსიელი** – ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის მიუღებელი ადამიანი, რომელიც დასასჯელთა ე. წ. „შავ სიებში” შეჰყავდათ.

მიზნებისთვინა გსურთ გამოიყენოთ? არ მეტყვიან წვრილბურჟუაზიულ ელემენტს ხელს აფარებო და რადაო და რისთვინაო...

– შვილი რა შუაა ალიოშა, შვილი რა შუაა, ის ხო სტუდენტია, კაცო, რა უფრო წაადგება ქვეყანას, გამაგებინე, ისწავლოს გიგლამა თუ უსწავლელი დარჩეს! მირჩევნია აეგ ნაგანი დამკრა, მირჩევნია, ცარიელს კი ნუ გამიშვებ აქედან, ალიოშა, ნუუ!..

– ძია სპირიდონ, ბედმა გაგიღიმათ, ამ დროს რომ მოხვედით. მამა გავხდი, სამი დღისაა ჩემი ბიჭი, ჰოდა, არ მინდა, არა, ხელცარიელი გაგიშვათ... მაგრამ, ხო იცით, ხელი ხელს ჰბანს, მარტო მეე, მეეს, ძია სპირიდონ, თხა იძახის, ჰოდა, თქვენ ჩვენა და ჩვენ თქვენა, გაიგეეთ?..

და ალიოშამ დიდებული გეგმა დაუსახა სპირიდონას. ჩამორთმეულ დუქანში მშვენიერ მაღაზიას გახსნიან, და ისევაც სპირიდონას დააყენებენ ნოქრად. მიწის გადასახადი არ ექნება და არაფერი. მართალია, გეგმა ექნება და შეიძლება იმდენი შემოსავალი აღარა ჰქონდეს, მაგრამ ტკბილ პურს მაინც შეშჭამს, ოჯახს შეინახავს.

– გადამალული საქონელი კიდევ, ძია სპირიდონ... ვითომ წინა დღეებში გაძარცვეს დუქანი და პირწმინდად წაიღეს ყველაფერი, თქვენ თვითონ მოიხმარეთ... აბა, როგორი სიტყვაა?! გიგლასაც, არ დავუშვებთ, რო გამორიცხონ უნივერსიტეტიდან, მართლა ცოდო არ არიი ახალგაზრდა კაცი, ადგე და გზა გაუმრუდო?! ჩვენ ყველაფერი შეგვიძლიან, ძია სპირიდონ!..

სპირიდონა წამოყელყელავდა, დაეჭვებით შეხედა ალიოშას, მართალს ამბობს თუ მეხუმრებაო... მაგრამ ახლა ალიოშა სხვა რამეს უმიზნებდა და სპირიდონამ აკანკალებული ხმით რომ ჰკითხა – მაშ, ცნობას მომცემთო? – ალიოშამ გაიცინა და ხელი გამოუწოდა, რა თქმა უნდა, ცნობასაც ნამდვილად გაგიხერხებთო, ოღონდ... ოღონდ... გაჟეჟილს გატეხილი სჯობია, ჩვენი აგენტი უნდა გახდეთო...

– ჰოდა ძია სპირიდონ, თან თქვენს მაღაზიაში იქნებით, თან ჩვენთან, იქნებით გუგულივით, იგრძნობთ, რომ საჭირო ხართ და მერე როგორი საჭირო, იგრძნობთ, რო ქვეყანას ეხმარებით, ერთადერთს მთელ მსოფლიოში, მშენებარე ქვეყანას, სოციალისტურს... ეეს ძალიან დიდი მოვალეობაა, ძია სპირიდონ, ნდობას გიცხადებთ ჩვენა... თქვენ ეს უნდა დააფასოთ... ამას შეგვატყობინებთ, ვინ რითი სუნთქავს...

„ვირეშმაკა...“ – გაიფიქრა სპირიდონამ და თავი ჩაჰკიდა... სცხელოდა, სული ეხუთებოდა... რა საშინელ დროში მოუხდა ცხოვრება... რა მტარვალ დროში... ჯერ იგრედაც სინდისი და სურვილი ერთ გზაზე არ იარებიან... სინდისი უკვე დაგმობილია... განდევნილია...

– ძია სპირიდონ, პასუხს ვითხოვ. მეე თქვენკენა ვარ და თქვენ ეშმაკებისკენ ნუ იქნებით, თავსაც გაიუბედურებთ და შვილსაც გზას გაუმრუდებთ...

სპირიდონას კი სცხელა, სცხელა, ფეხისგულებიც ეწვის, გეგონებათ გავარვარებულ სილაში აქვს ჩაფლულიო...

– თანახმა ვარ, – თქვა უცებ სპირიდონამ, – ვითანამშრომლებ თქვენთან... თუკი ვინმეს რაიმეს შევნიშნავ, ყველაფერს მოგახსენებთ...

– ძალიან კარგი, ძია სპირიდონ! მაგრაამ... ხო უნდა დაგვიმტკიცოთ, რო თქვენ მართლა ჩვენთანა ხართ, იგრე მარტო სიტყვით კი არა, საქმით... ჰოდა, მე გთხოვთ, ერთი ოპერაციის ჩატარებაში დაგვეხმაროთ. თქვენს მეტს ეს არავის შეუძლია. უნდა გვითხრათ, სადა ჰყავს მაწიას ცხვარ-ძროხა დამალული და თვითონაც სად არის!

– მაწია, კაცო, ჩემი სიმამრია! – უნებურად აღმოხდა სპირიდონას.

– სწორედ მაგიტომ, ძია სპირიდონ, სწორედ მაგიტომ, რო სიმამრია და თქვენ გეცოდინებათ, აუცილებლად გეცოდინებათ, არ გეცოდინებათ, გაგება არ გაგიჭირდებათ!..

სპირიდონას ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს გააშიშვლეს, გახადეს ყველაფერი და შუა მოედანზე გამოაჭენეს. დგას შიშველი და დაუცველი, რა ქნას, რა იღონოს, საით წავიდეს, რას მიაწყდეს... მაწია... მაწია... აღდგომის წინა დღეებში გადმოვიდა სოფლიდან, ძღვენი მოართვათ... ეთქვა თურმე სოფლის უფროსობისთვის, გვიან არის ჩემთვის ფერხულებში ჩაბმაო... როგორც აქამდე მიცხოვრია, ეგრევე დამამთავრებინეთ ჩემი ცხოვრებაო. სანამ ცოცხალი ვარ, უცხვროდ არ

ვიქნები კი არა, ვერ ვიქნებიო... ვერავინ, ვერავინა ნახეს, ვინც მაწიას გასცემდა, ერთსულოვნება იყო მაწიას ფარეხებში, არავის დაჩაგრავდა, არავის მოექცეოდა უდიერად, მხართეძოზე არ წამოწვებოდა, თავზე არავის წამოაჯდებოდა, სამართლიანი იყო, არავის არაფერს დაუკარგავდა.

– აღდგომის შემდეგ მაწია არ მინახავს, საიდან უნდა ვიცოდე, იმას ჩემთვის არაფერი უთქვამს... გავიგებ, წავალ, დავარწმუნებ, რო შეჰყვეს თავის ცხვარს კოლმეურნეობაში, დანიშნავენ ფერმის გამგედ, გაუძღვება ისევ თავის ცხვრებს, ნამუსიან სიტყვას გაძლევ, გეფიცები, რაც მეფიცება, ყველა ღონეს ვიხმარ, რო დავარწმუნო...

საცოდავი იყო, ისეთი საცოდავი იყო, ორივე ხელი ყელთან ჰქონდა მიტანილი, გეგონებათ, ეშინია, თავი არ ჩამოუვარდესო, ძლივს ყლაპავდა ნერწყვს... თვალებიც, დაცეცებული თვალები, გეგონებათ, ბუდეებში უხტისო...

– თქვენ ალბათ იმასა ფიქრობთ, ცნობაზე რატო არაფერს მეუბნებაო, ჩემს პატარა ბიჭს გეფიცებით, წავალ ყველგან, საცა საჭიროა, ხვალვე გექნებათ ცნობა. თქვენ ნურც შეწუხდებით, აგე, სულს ძლივს იბრუნებთ, სახლში გამოგიგზავნით მილიციელის ხელით, ამაზე კარგი სიტყვა რაღა გინდათ!

სპირიდონამ კი ერთი ალმაცერად ახედა ალიოშას, მაგიდის კიდეს დაეყრდნო და წამოდგა... ერთ წუთს ასე იდგა, ალიოშას ჩამოჰყურებდა, მერე მიბრუნდა და კარისკენ წავიდა. ძლივს მიაქლასუნებდა ფეხებს...

– ძია სპირიდონ, დაფიქრდი! – დაადევნა ალიოშამ უკანასკნელი სიტყვა, – ვინა ხარ და რა გქვია! ხაარ შიშვლად და ტიტვლად აგორებულ ქვასავით! სად იგორებ, რომელ თავდაღმართებზე დაეშვები, რომელ უფსკრულში ჩაეცემი, არავინ უწყის! დაფიქრდი, ძია სპირიდონ, სანამ დროა!

სპირიდონამ კარი გამოაღო, ის იყო უნდა გასულიყო, სანახევროდ შემობრუნდა და ძლივს გასაგონად, თითქოს ტუჩები დაბუჟებია და სიტყვებს კარგად ვერ აგნებსო, ამოილუღლუღა:

– ზუროს გორა... ზუროს გორა...

მაგრამ ალიოშამ გაიგო და იკითხა:

– რომელი, რომელი, პანკისის ზევით, თუ ცივისკენ!

– პანკისის ზევით... – თქვა სპირიდონამ და კარი გაიხურა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რატომ დასჭირდა სპირიდონას ალიოშასთვის ძველი გაზეთისა და პროკლამაციის ჩვენება?

ა) თავისი ძველი გავლენით რომ შეეშინებინა.
ბ) თანამოსაუბრე მოთმინებიდან რომ გამოეყვანა.
გ) თავისი დამსახურებები რომ შეეხსენებინა.
დ) თანამოსაუბრის ყურადღება რომ მოედუნებინა.

(1) 3. რას გულისხმობს ალიოშა სიტყვებში: *„თუკი ეხლაც რაღაც გზას დაადგებოდით“*?

ა) თუკი ახალ გზაზე თავისი ოჯახის წევრებსაც დააყენებდა.
ბ) თუკი დუქნის წართმევისათვის შურს არ იძიებდა.
გ) თუკი თავის მთელ ქონებას მთავრობას ჩააბარებდა.

დ) თუკი ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგებოდა.

(1) 4. რომელ მონაკვეთშია ფრაზეოლოგიზმი?

ა) „გაშალა და ალიოშას მაგიდაზე დაუდო, ისევ მოჰყვა ჯიბეების ქექვას“.
ბ) „ეგეთი წარსული ააქვს, ნუთუ ერთი ცნობის ღირსი აღარ არის“.
გ) „რევოლუციონერობას, რომელსაც რო უღალატეთ, ეხლა რა აზრი აქვს?“
დ) „ძია სპირიდონ, ბედმა გაგიღიმათ, ამ დროს რომ მოხვედით“.

(1) 5. რატომ ეუბნება სპირიდონა ალიოშას: *„მირჩევნია აეგ ნაგანი დამკრა...“*?

ა) გადაწყვეტილი აქვს, რომ ალიოშას წინააღმდეგობა გაუწიოს.
ბ) ხაზს უსვამს საკუთარი მდგომარეობის გამოუვალობას.
გ) შეგუებულია, რომ შვილს უნივერსიტეტიდან გაურიცხავენ.
დ) მზად არის *„პარტიის გენერალურ ხაზს“* დაემორჩილოს.

(1) 6. რის თქმა სურს ალიოშას სიტყვებით: *„ხელი ხელს ჰბანს“*?

ა) სპირიდონასგან თანამშრომლობას მოითხოვს.
ბ) სპირიდონასთვის სიცოცხლეს გაიმეტებს.
გ) სპირიდონას უანგარო დახმარებას ჰპირდება.
დ) სპირიდონას უმიზეზოდ არავის დააჩაგვრინებს.

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა *„იქნებით გუგულივით“*?

ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) ჰიპერბოლა.
დ) შედარება.

(1) 8. ალიოშას რა თვისება ჩანს მის ნათქვამში: *„ნდობას გიცხადებთ ჩვენა... თქვენ ეს უნდა დააფასოთ... ამას შეგვატყობინებთ, ვინ რითი სუნთქავს...“*?

ა) გულგრილობა.
ბ) გულწრფელობა.
გ) მზრუნველობა.
დ) ვერაგობა.

(1) 9. რატომ დაეუფლა სპირიდონას ისეთი განცდა, *„თითქოს გააშიშვლეს, გახადეს ყველაფერი და შუა მოედანზე გამოაჭენეს“*?

ა) მიხვდა, რომ რასაც მისგან ითხოვდნენ, სამარცხვინო იყო.

ბ) ჩათვალა, რომ დავალების შესრულება შეუძლებელი იყო.
გ) იგრძნო, რომ ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა.
დ) ეგონა, რომ დასმენით თავისი შვილის მომავალს დაღუპავდა.

(1) 10. მაწიას რა თვისებაზე მიუთითებს სიტყვები: *„მხართეძოზე არ წამოწვებოდა“*?

ა) გამჭრიახობაზე.
ბ) სიმამაცეზე.
გ) შრომისმოყვარეობაზე.
დ) სამართლიანობაზე.

(1) 11. სპირიდონას რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სიტყვებში: *„ძლივს ყლაპავდა ნერწყვს... თვალებიც, დაცეცებული თვალები, გეგონებათ, ბუდეებში უხტისო...“*?

ა) მრისხანება.
ბ) სინანული.
გ) სიძულვილი.
დ) სასოწარკვეთა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. უსამართლო გარემო ხშირად ადამიანს რთული არჩევანის წინაშე აყენებს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

4.

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი სიმონ ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ („დავით გურამიშვილის გაბაასება საწუთროსთან“):

არ დაელევა სათქმელი დავითს,
არ ეპუება საწუთროს ძალას,
როგორ დაუთმოს ცოცხალი თავი
და ამეტყველებს პირუთვნელ კალამს:

ჩემო საწუთროვ, ყოფილხარ მრუდე,
ბევრჯერ მიმუხთლე, როცა დაგენდე.
შენ დამინგრიე პატარა ბუდე,
სული კი თიხის ტანში ჩაჰკეტე.

მე მატანტალე ხრიოკ მიწაზე,
შიშველი ტერფით ვეძიე მწვანე,
როგორ მიგენდე, როგორ გიწამე
და სადაური სად წამიყვანე!

უკვე დავბერდი, მივენდო ვიღას,
ვიგრძენ, სიკვდილი სხეულს მიათრევს.
ის დამამსგავსებს გამომშრალ თიხას
და წამიკითხავს ეკლეზიასტეს[10].

მე კი უბრალოდ არ მსურს გაგშორდე,
როგორმე უცხოდ მომიწყვე ბოლო.
თუგინდ მყინვარის თხემზე გამშოლტე,
არ დამანახო სამარე მხოლოდ.

ან შემახვიე ღრუბელში სუფთად,
სიკვდილს მიმყიდე კრავივით წყნარი,
მატყლში ჩატოვე მამულის სუნთქვა,
ყელზე დამკიდე წკრიალა ზარი.

რომ თქვან: მევახშედ გახდა სიკვდილი,
ვალს ახდევინებს საწუთროს კრავით,
ვერ დაეწია ვერვის სირბილით,
ვეღარ შეკრიბა წლიური ხვავი.
მე კი მომაბას ყელზე საბელი,
უკან გავყვები ჭაღარა კრავი –
მე უკვე მითქვამს ჩემი სათქმელი
და მსურს ღრუბელში მეგონოს თავი.

---

[10] **ეკლეზიასტე (ეკლესიასტე)** – ძველი აღთქმის წიგნი.

მე არ მივლია სოფელში უქმად,
თუმცა, საწუთროვ, სანთელს მიქრობდი.
თურმე ვყოფილვარ სიკვდილის ლუკმა
და უკვდავებას როგორ ვფიქრობდი!

მაგრამ დავტოვე ბალღი, ტანტალა,
ხმა ჩავუნერგე ფიქრივით წყნარი,
თუ სადმე შეგხვდეთ ჩემი პატარა,
დაალევინეთ მამულის წყალი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რას ნიშნავს *„საწუთრო“***?**

ა) სააქაო ცხოვრებას.
ბ) საიქიო ცხოვრებას.
გ) სარწმუნოებას.
დ) შემოქმედებას.

(1) 3. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: *„...ამეტყველებს პირუთვნელ კალამს“***?**

ა) ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის სურვილს აღძრავს.
ბ) თანამოძმეებს რწმენითა და იმედებით აღავსებს.
გ) რეალობას დაუფარავად და მიუკერძოებლად გადმოსცემს.
დ) სინამდვილეს სუბიექტურად და ტენდენციურად ასახავს.

(1) 4. რა მხატვრული საშუალებაა: *„სული კი თიხის ტანში ჩაჰკეტე“***?**

ა) ეპითეტი.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 5. რა ემოციას გამოხატავს სიტყვები: *„და სადაური სად წამიყვანე“***?**

ა) განრისხებას.
ბ) გულგრილობას.

გ) იმედგაცრუებას.
დ) მოუთმენლობას.

(1) 6. რომელ სტრიქონშია შედარება?

ა) „თუგინდ მყინვარის თხემზე გამშოლტე“.
ბ) „თურმე ვყოფილვარ სიკვდილის ლუკმა“.
გ) „სიკვდილს მიმყიდე კრავივით წყნარი“.
დ) „ყელზე დამკიდე წკრიალა ზარი“.

(1) 7. რის თქმა სურს ლექსის ლირიკულ გმირს სიტყვებით:

„მე კი მომაბას ყელზე საბელი,
უკან გავყვები ჭაღარა კრავი“?

ა) არ ეპუება ბედისწერას.
ბ) თავის მართლებას ცდილობს.
გ) მორჩილებით იღებს განაჩენს.
დ) სიბერეს არ უშინდება.

(1) 8. რის თქმა სურს ლექსის ლირიკულ გმირს სიტყვებით: *„მე არ მივლია სოფელში უქმად“*?

ა) ადამიანური ვალი აღასრულა.
ბ) დასახული მიზნები ვერ განახორციელა.
გ) სამშობლოს ხილვა არ ეღირსა.
დ) სიცოცხლეშივე აღიარება მოიპოვა.

(1) 9. რას გამოხატავს სიტყვები: *„სანთელს მიქრობდი“*?

ა) დაბრკოლებებს მიქმნიდი.
ბ) სიკვდილს არ მანებებდი.
გ) ტაძარში არ მიშვებდი.
დ) წერას მიკრძალავდი.

(1) 10. დავით გურამიშვილის „დავითიანის“ რომელ სტრიქონს ეხმიანება მოცემული მონაკვეთი:

„მაგრამ დავტოვე ბალღი, ტანტალა,
ხმა ჩავუნერგე ფიქრივით წყნარი“.

ა) „დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ: ვიშვილებ ამასო“.
ბ) „ისმინე, სწავლის მძებნელო, მოყევ დავითის მცნებასა“.

გ) „მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს“.
დ) „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადაო“.

(1) 11. რას გულისხმობს ლექსის ლირიკული გმირი სიტყვებში:

„თუ სადმე შეგხვდეთ ჩემი პატარა,
დაალევინეთ მამულის წყალი“?

ა) მისი ნაწერები ოჯახის წევრებს გადასცენ.
ბ) მისი პოეზია თანამემამულეებს გააცნონ.
გ) მისი ცხედარი სამშობლოში გადაასვენონ.
დ) მისი ცხოვრება ობიექტურად აღწერონ.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. პიროვნება ქვეყნის წინაშე ვალმოხდილია, თუ მისი ნაღვაწი შთამომავლობისათვის ღირებულია.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გიორგი მერჩულის თხზულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“:

ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად

მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული, და მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან, და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძვირი ძვირსა.

ხოლო უწესოებაი მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან, უფროის ხოლო მამისა გრიგოლისაგან, ხოლო მან სრულიად საღმრთოი შიში განაგდო ამპარტავანებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტვი და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა. მაშინ წარვიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა და მშვილდი გარდაცუმული ხელთა აქუნდა.

ხოლო ნეტარი მამაი გრიგოლ თვისით აგარაკით მარტოი შთამოვიდოდა ხანძთას და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქუმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა საღმრთოთა ხილვითა მადლითა სულისა წმიდისაითა. მაშინ საწყალობელმან მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდმო, რამეთუ სუეტი ნათლისაი ფრიად ბრწყინვალე, ცად აწევნული, ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ. შუენიერად რაი გამოჩნდის ჟამსა წვიმისასა. ესე დიდებაი მის ზედა იხილა კაცმან მან და ფრიად ძრწოლამან შეიპყრა იგი, რამეთუ დაჰხსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი და ზარისა მისგან დიდისა დაცემულ იდვა ქუეყანასა ზედა.

ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ:

– საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენ, რამეთუ შენ ხარ უვარის-მყოფელი ქრისტიანობისაი, ვინაითგან უნდოისა სასყიდლისათვის უბრალოისა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ. ანუ არა სამისა გრივისა ფეტვისათვის და ხუთთა თხათათვის მოსრული ხარა მოკლვად ჩემდა, უგუნურო?

მაშინ კაცი იგი ტირილით ევედრებოდა მას:

– შემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკვლელი შენი და მიემსგავსე ქრისტესა, მკვლელთა თვისთა შემნდობელსა.

მაშინ წმიდამან მან წყალობით ჯუარი დასწერა და განკურნა იგი, რამეთუ მრავალი გუემაი დაცემულ იყო მის ზედა და სიხარულით განუტევა სახიდ თვისად. ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა. და იგი უფროისღა აღბორგნა და შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა. და მრავალი ბოროტი შეამთხვია მამასა გრიგოლს და მის ჟამისა წმიდათა მამათა და სხუათაცა მორწმუნეთა ერისკაცთა. შეკრიბა ერი ანჩისაი და წარავლინა დარღუევად ხანძთისა. და აღმოსლვასა ოდენ მზისასა მივიდეს. ჰრქუა მათ მამამან გრიგოლ:

– შვილნო, დრო მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღემდე, რაითა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაი წინაშე ქრისტესსა.

ხოლო მათ ისმინეს სიტყუა მოხუცებულისაი. და ჟამსა მას ცრემლით ვედრებისა მათისასასა ისმინა უფალმან თხოვაი მათი და წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ, ვითარმედ საღმრთოი შურისგებაი ეწია ბოროტსა მას მტერსა, და მო-ხოლო-იწია კაცი, რომელი ეტყოდა კაცთა მათ:

– ნუღარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანძთასა, რამეთუ დამარღუეველი მაგისი მოკუდა.

მაშინ განიხარეს კაცთა მათ.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. როგორ გახდა ცქირი ანჩის საყდრის წინამძღოლი?

ა) ტაძარს ძალადობით დაეპატრონა.
ბ) თბილისის არაბი ამირა დაიხმარა.
გ) კურაპალატის თხოვნას დაემორჩილა.
დ) ტაძრისათვის დიდი შესაწირი გაიღო.

(1) 3. ჩამოთვლილთაგან რომელ ფრაზაშია მხატვრული საშუალება?

ა) „ნეტარი მამაი გრიგოლ თვისით აგარაკით მარტოი შთამოვიდოდა ხანძთას...“
ბ) „მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდმო...“
გ) „შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი აღმოცენებული...“
დ) „უწესოებაი მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან...“

(1) 4. როგორ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ კლარჯეთში ადრე დამკვიდრებული ბერები ანჩის ახალი ეპისკოპოსის მიმართ?

ა) ამირასთან სიახლოვის გამო ითვალწუნებდნენ.
ბ) უღირსი საქციელის გამო ხშირად ამხელდნენ.
გ) კურაპალატთან კონფლიქტის გამო ამტყუნებდნენ.
დ) თბილისში დიაკვნად ყოფნის გამო აკრიტიკებდნენ.

(1) 5. რა ნიშნით შეარჩია ცქირმა ანჩელი კაცი თავისი გეგმის განსახორციელებლად?

ა) დაუნდობელი ადამიანი იყო.
ბ) მრავალგვარი დაავადება სჭირდა.
გ) გაწაფული მშვილდოსანი იყო.
დ) ბერებზე გავლენა ჰქონდა.

(1) 6. რატომ ვერ შეასრულა ანჩელმა კაცმა ცქირის დავალება?

ა) ნათლის სვეტის ბრწყინვალებამ თვალები დაუბნელა.
ბ) ცქირის მიერ შეთავაზებული გასამრჯელო ეცოტავა.
გ) ღვთიური სასწაული იხილა, რამაც ხელი გაუშეშა.
დ) შეებრალა მამა გრიგოლი, რომელმაც შეწყალება სთხოვა.

(1) 7. რომელ ფრაზაშია გამოყენებული სიტყვა *ბოროტება*?

ა) „მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა...“
ბ) „მრავალი გუემაი დაცემულ იყო მის ზედა...“
გ) „კუალად შესძინა ძვირი ძვირსა“.

დ) „შესძინა სიბრძე სიბრძესა ზედა“.

(1) **8. მამა გრიგოლის რა უჩვეულო უნარი ჩანს მის სიტყვებში:** *„საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენ, რამეთუ შენ ხარ უვარის-მყოფელი ქრისტიანობისაი, ვინაითგან უნდოისა სასყიდლისათვის უბრალოისა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ“*?

ა) დაფარული მოვლენების წინასწარხედვის.
ბ) ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების.
გ) ურწმუნოთა ქრისტეს რჯულზე მოქცევის.
დ) სასტიკი ადამიანების გაკეთილშობილების.

(1) **9. ვის ისტორიას ახსენებს ანჩელი კაცი მამა გრიგოლს?**

ა) მაცხოვრის, რომელმაც თავის მკვლელებს ცოდვები შეუნდო.
ბ) წმიდა მამა ეფრემ დიდის, რომელმაც ლოცვებით გააძლიერა.
გ) ანჩის საყდრის ეპისკოპოსის, რომელმაც განსაცდელში ჩააგდო.
დ) ხანძთელი ბერების, რომლებიც ცქირს დაუფარავად ამხელდნენ.

(1) **10. რა მოიმოქმედა ცქირმა გრიგოლ ხანძთელის მკვლელობის მცდელობის შემდეგ?**

ა) ის უფრო მეტად განრისხდა.
ბ) მან მძიმე ცოდვები მოინანია.
გ) მან ანჩელი მოისარი დასაჯა.
დ) ის მამა გრიგოლს შეურიგდა.

(1) **11. მამა გრიგოლის რა თვისებები გამოჩნდა ხანძთის მონასტრის მოსალოდნელი დანგრევის ეპიზოდში?**

ა) სიმამაცე და გულმოწყალება.
ბ) სიბრძნე და თავშეკავებულობა.
გ) სიფიცხე და მოუთმენლობა.
დ) სიმკაცრე და მრისხანება.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. საკუთარი მიზნებისათვის ბრძოლაში ხშირად ადამიანები თავიანთ ყველაზე სასტიკ ბუნებას ამჟღავნებენ.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

5.

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი აკაკი წერეთლის პოემიდან „გამზრდელი“:

„ – ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ეშხით დაბმულია;

მთვარესავით ხელუხლები, –
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს.

ჯერ გაჰღალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში!..

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

დამაჩემა: თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი

ამ სამ დღეში მომგვარეო!

ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი თავმომწონე.

აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯი ლაფშა მოვიპარო“.

მოუსმინა ძიძიშვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: „ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგან სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო:

მის ოცნებას, მის გულისთქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.

ეს შენც იცი, – არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი, –
სავაჟკაცოდ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!

მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

ერთმანეთის მინამსგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე – სხვა,
ისე, როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.

შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და, თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაჰზუის თავზე ქარი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რა მხატვრული საშუალებაა: *„მთვარესავით ხელუხლები“*?

ა) ალიტერაცია.
ბ) გაპიროვნება.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 3. რას ნიშნავს სიტყვა *„გაჰღალავს“*?

ა) გაათამამებს.
ბ) გულს მოუკლავს.
გ) თავზარს დასცემს.
დ) მოაჯადოებს.

(1) 4. ზია-ხანუმის რა თვისება ჩანს მონაკვეთში:

„დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში...“?

ა) გულფიცხობა.
ბ) ეჭვიანობა.
გ) ვერაგობა.
დ) მერყეობა.

(1) 5. რა საფრთხეს უქმნიდა საფარ-ბეგს სატრფოს დავალების შესრულება?

ა) ვაჟკაცობით განთქმული ინალიფა თავის ცხენს უსისხლოდ არ დათმობდა.
ბ) ინალიფა დაუნდობელი ადამიანი იყო და ცხენის ქურდებს სასტიკად სჯიდა.
გ) საფარ-ბეგი იქაურობას არ იცნობდა და უსათუოდ სადმე ხევში გადაიჩეხებოდა.
დ) ცხენის ქურდობაში გამოუცდელი საფარ-ბეგი მახეში ადვილად გაებმებოდა.

(1) 6. რატომ *„შეაწუხა, დააღონა“* ბათუ საფარ-ბეგის ნაამბობმა?

ა) მიხვდა, რომ საფარ-ბეგი ზია-ხანუმის თანამოაზრე ხდებოდა.
ბ) მიხვდა, რომ საფარ-ბეგი საძრახისი საქციელის ჩადენას აპირებდა.
გ) საფარ-ბეგის ნაცვლად ცხენის მოპარვა ბათუს ოჯახს მოაშორებდა.
დ) საფარ-ბეგის დახმარება ბათუს ინალიფას გვართან დააპირისპირებდა.

(1) 7. რა გამართლებას უძებნის ბათუ საფარ-ბეგის განზრახვას?

ა) საფარ-ბეგს ზია-ხანუმისათვის სიყვარულის დამტკიცება სურს.
ბ) საფარ-ბეგს ინალიფას საუკეთესო ბედაურის ხელში ჩაგდება სურს.
გ) საფარ-ბეგს ინალიფასათვის თავისი უპირატესობის ჩვენება სურს.
დ) საფარ-ბეგს ყველაზე გაბედული ვაჟკაცის სახელის მოხვეჭა სურს.

(1) 8. რომელ ფრაზაშია მხატვრული საშუალება?

ა) „მიდის, ელვა გზას უნათებს“.

ბ) „სიყვარულის ტკბილი სენი“.
გ) „შეაკვდება, არ შეარჩენს“.
დ) „შიში სხვაა, სიფრთხილე – სხვა“.

(1) 9. რატომ აიღო ბათუმ საკუთარ თავზე ზია-ხანუმის დავალების შესრულება?

ა) იფიქრა, რომ საფარ-ბეგს ასეთი საქციელის გამო ღვთის რისხვა დაატყდებოდა.
ბ) იფიქრა, რომ საფარ-ბეგის დახმარება გამორჩეული ვაჟკაცის სახელს მოუხვეჭდა.
გ) მიხვდა, რომ დავალების შესასრულებლად საფარ-ბეგს სიმამაცე არ ეყოფოდა.
დ) მიხვდა, რომ საფარ-ბეგს ზია-ხანუმის დავალების შესრულება გაუჭირდებოდა.

(1) 10. რის თქმა სურს საფარ-ბეგისთვის ბათუს სიტყვებით:

„... არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი“?

ა) ამ ქვეყნად ბევრი განსაცდელი გადაგიტანია.
ბ) ამ ქვეყნად უკადრისი არაფერი ჩაგიდენია.
გ) ცხოვრებისეული გამოცდილება არ გაგაჩნია.
დ) ცხოვრებისეული გამოცდილება არ გაკლია.

(1) 11. ბათუს რა თვისება ჩანს სიტყვებში:

„ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას“?

ა) თავდადება.
ბ) თავმოწონება.
გ) სიფრთხილე.
დ) შორსმჭვრეტელობა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.
ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ახლობლის დახმარების სურვილი ზოგჯერ ადამიანს მორალური კომპრომისისაკენ უბიძგებს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი თამაზ ჭილაძის მოთხრობიდან „შუადღე“. მოთხრობის პერსონაჟი გოგი მოგვითხრობს:

ბათუმის ნავსადგურში კატერს ვუცდიდით. პირდაპირ სკამზე ორი შავთავსაფრიანი დედაბარი იჯდა. ჩვენს წინ მაღალი კაცი რკინის მოაჯირს იდაყვებით ჩამოყრდნობოდა და გვიყურებდა...

– გინახავს, ბიჭებს წყალში ხურდა ფულს რომ უყრიან? – მკითხა მარიკამ.

– როგორ არა, – ვთქვი მე, – რა კარგი რამ გაგახსენდა...

– იმ დღეს სწორედ ამ ადგილას თეთრად გამოწკეპილი ცოლ-ქმარი იდგა. ქმარი ბიჭებს ფულს უყრიდა. ბიჭები რომ ფულს ამოიტანდნენ, ცოლს ისე გადახედავდა, თითქოს თვითონ ამოეტანოს ფსკერიდან ფული. ცოლი მხარზე ლოყით ეფერებოდა. ხურდა ფულით პირგამოტენილი ბიჭები ხელებს უქნევდნენ.

– ხურდით პირგამოტენილი ბიჭივითა ვარ მეც, ასე მგონია, შენი თავი ვიღაცა ბითურებს წავართვი...

– მე ხურდა ფული გამოვდივარ, – მარიკამ პატარა ბუტია გოგონასავით ქვედა ტუჩის გამობურთვა იცის.

– ხურდა ფული კი არა, შენა ხარ ნავსადგური, თოლიები, ზღვა, რომლებსაც თამაშით გართული დოყლაპიები ვერ ამჩნევენ... ის ბიჭები კი ყველაფერს ხედავენ, გრძნობენ და ამ ცასა და ზღვაში თოლიებივით თავისუფლად ცხოვრობენ.

– ბევრი რამე დაგავიწყდა, – ამბობს მარიკა სერიოზული სახით, – მე ვარ ცა, გემები, აი, ის მოტივტივე შუქურა და მთვლემარე დედაბერი...

– ჰო, შენ ის დედაბერიცა ხარ... დედაბერივით ჭკვიანი გოგო...

– მე არ მინდა დედაბერივით ჭკვიანი ვიყო, ჭკვიანი გოგოები ბიჭებს არ უყვართ.

– ბიჭებს მეტიჩარა გოგოები არ უყვართ. ერთ გოგოს ვიცნობდი, რამეს რომ ვიტყოდი, პირში მომვარდებოდა: არა, გენაცვალე, მარსელ პრუსტი[11] მაგას არ ამბობსო. თან დაუფარავი სიბრალულით მიცქერდა...

– შენთან არასოდეს ლიტერატურაზე არ ვილაპარაკებ, – თქვა მარიკამ...

– შენ მეტიჩარა არა ხარ, – ვთქვი მე, – რაც მთავარია, ლამაზი გოგო ხარ, რაც არ უნდა თქვა, ყველაფერი ლამაზად გამოვა...

ისეთი ბედნიერი ვიყავი, მეგონა, ყველაფერი მეჩვენებოდა. ამ გრძნობას ერთმანეთზე მიხერგილი წათვლემილი გემები და ზანტად მოფარფატე თოლიები ამძაფრებდნენ. მხოლოდ შავებში ჩაცმულ დედაბრებს რომ ვხედავდი, ვხვდებოდი, რომ რაც მიხაროდა, სინამდვილე იყო. მარიკას სიახლოვე დაფარული რწმენით მავსებდა. ასეთი რწმენა შეიძლება მოგცეს საჭემ ან გუთანმა, რომლითაც რაღაცას იმორჩილებ. ეს ფარული რწმენა კი მახარებდა და ყველაფერი მომწონდა. გუშინდელი დღე კი სხვანაირი იყო. გუშინ მარტო ვიყავი და პირველად ვიგრძენი, რომ მიყვარდა. ბათუმში ნათესავებთან ვიყავი წამოსული. კატერიდან რომ გადმოვედი, გაწვიმდა. გავიქეცი და ნავსადგურის ახლოს პატარა კაფეში შევედი. კაფეში თევზის, თუთუნისა და სველი ტანისამოსის სუნი იდგა. შავკაბიან, ჭაღარა ბერძნის ქალს ყავა პატარა, თეთრი ფინჯნებით მოჰქონდა. ყავა რომ მომიტანა, ფინჯნის გვერდით წყლით სავსე ჭიქაც დამიდგა. წყალი ერთბაშად

[11] **მარსელ პრუსტი** (1871-1922) - ფრანგი მწერალი.

გამოვცალე, ძალიან მწყუროდა. ჩემს მაგიდასთან ჩია მოხუცი იჯდა. ბრეზენტის საწვიმარი ეცვა და საწვიმარზე ორთქლი ასდიოდა. ფინჯანი დაეპირქვავებინა და მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი იჯდა...

– ყავა დალიე, – მითხრა მან, – წყალს კი ნუ სვამ...

ყავის ფინჯანი ავიღე:

– ცხელია...

– სველი ხარ, მოგიხდება...

ყავა მოვსვი და ფინჯანი ისევ მაგიდაზე დავდგი.

– როგორ დაუშვა, – ვთქვი მე.

– ბათუმში ასე იცის... არაყი დალიე...

ბერძენ ქალს დავუძახე:

– ორი არაყი მოგვიტანე...

– მე არ მინდა, უკვე დავლიე...

– ერთიც, ჩემთან ერთად...

ქალმა არაყი მოიტანა და მოხუცს უთხრა:

– გეყოფა, სახლში წადი...

– ჩემი რძალია, – თქვა მოხუცმა, – ახლა სხვაზეა გათხოვილი...

ჭიქა ახლოს მივუჩოჩე... დალია და დააცემინა:

– ჯანდაბა, – უთხრა თავის თავს...

– კიდევ დავლიოთ, – არაყი მესიამოვნა, – თითოც...

– რძალი მომკლავს... – მერე სიცილით დაუმატა, – თუმცა ის ჩემი რძალი აღარ არის, ახლა ის ჩემი შვილია, მისი ქმარი კი – სიძე...

– მათთან ცხოვრობ? – ვკითხე მე.

– მათთან ვცხოვრობ... სხვა არავინ არა მყავს...

არაყი ახლა ბოთლით მოვატანინე:

– თუ დალევაა, დალევა იყოს... დიდი ხანია, არ დამილევია...

– ჩემი შვილიც იშვიათად სვამდა... წინათ არც მე ვსვამდი...

– შენს შვილს რა დაემართა?

მოხუცი გაჩუმდა. სკამის კიდეზე ქანაობდა, როგორც ბავშვებსა და მოხუცებს სჩვევიათ. მერე არაყი დაისხა და აცახცახებული ხელით ჭიქა პირთან მიიტანა:

– ჩემი შვილი ზღვაში დაიღუპა... – და არაყი გადაჰკრა, თითქოს ეს მწარე სიტყვები გულში ჩაიბრუნა: – ახლაც ზღვაში წევს...

საოცარი სიცხადით წარმომიდგა ზღვის ფსკერზე გაწოლილი ადამიანი, დიდი თეთრთვალება თევზებით გარშემორტყმული. უნებურად თევზებს ხელი ავუქნიე.

– ზღვა ჩემი შვილის საფლავია, – თქვა ჩუმად მოხუცმა, – მივდივარ ხოლმე და ვტირი... როგორც ყველა საფლავი, ისიც ჩემთვის ძალიან პატარაა...

მოხუცმა ტირილი დაიწყო.

– წარმოგიდგენია, პატარა ზღვა!..

– შენი შვილის შესანდობარი იყოს.

მოხუცმა ქალს ხელი დაუქნია:

– მოდი აქ, გესმის რას სვამს?

ქალმა გაბრაზებით შემომხედა:

– არაფერი არ მესმის... ვმუშაობ...

ყავის ცარიელი ფინჯნები აიღო და წავიდა.

– ზღვასთან ეგ და მაგისი ქმარიც მომყვებიან ხოლმე... ჩემთან ერთად ტირიან...

– ქმარიც ტირის?

– ჰო, ტირის... იმიტომაც ვჩერდები მათთან... სახეზე ხელები აქვს აფარებული და ტირის...

გადავიწიე და მოხუცს მხარზე ხელი დავადე. მოხუცი თვალებში შემომაშტერდა. ვიგრძენი, რაიმე სანუგეშოს გაგონება უნდოდა. მე კი ავდექი და ხეპრესავით ვუთხარი:

– ძნელია, ძალიან ძნელია...

იმწამსვე მარიკას სიტყვები შემომესმა: „იცოდე, ბევრს არ ეყვარები. შენ კიდევ ბევრი რამე უნდა ისწავლო. უნდა ისწავლო კონცერტებზე ისეთი სახის მიღება, თითქოს მუსიკა გესმის... უნდა ისწავლო, სატირალზე ჭირისუფალს როგორ უნდა უთხრა: ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...“

– ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, – ვთქვი ხმამაღლა და რატომღაც შემრცხვა.

– ეჰ, – თქვა მოხუცმა, – შენც მაგას ამბობ...

წამოდგა და კედელზე მიყუდებული ჯოხი აიღო:

– წავედი... გმადლობ...

– დაიცა, – შევეხვეწე, – ცოტა ხანს კიდევ დაიცადე...

– არა, – თქვა მოხუცმა, – უნდა წავიდე...

კარებში რომ გადიოდა, დამიძახა:

– აკი ადრე თქვი, ძნელიაო?

აქედან მინდოდა დამეყვირა, რომ ძნელია, საშინლად ძნელია, რომ მე ამ ბოთლივით სულელი ვარ და მეტი არაფერი, რომ მე არასოდეს ზღვასთან არ მიტირია, რომ მე ზღვა სულ სხვა რაღაც მგონია და აქამდე არ ვიცოდი, რომ ზღვა თურმე ადამიანის მწუხარების ტოლი ყოფილა...

მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. დიდხანს ვიჯექი ასე გაშტერებული. მერე უცბად შევამჩნიე, რომ ხელში არყით სავსე ჭიქა მეჭირა. ასე არასოდეს მომდომებია მაგარი რამე დამელია. თითქოს რაც აქამდე დავლიე, წყალი იყო, მწარე, გამოსაფხიზლებელი წყალი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რას ნიშნავს სიტყვა *„გამოწკეპილი“?*

ა) დაუდევრად ჩაცმულს.
ბ) უგემოვნოდ ჩაცმულს.
გ) მოხდენილად ჩაცმულს.
დ) სათანადოდ ჩაცმულს.

(1) 3. როგორია გოგის დამოკიდებულება იმ გოგოსადმი, რომელიც საუბარში ყოველთვის მარსელ პრუსტს იშველიებდა?

ა) აღტაცებული.
ბ) აღშფოთებული.
გ) გულგრილი.
დ) ირონიული.

(1) 4. რა მხატვრული საშუალებაა *„წათვლემილი გემები“*?

ა) ალუზია.

ბ) გროტესკი.
გ) გაპიროვნება.
დ) შედარება.

(1) 5. რა დატვირთვა აქვთ *„შავებში ჩაცმულ დედაბრებს“*?

ა) პერსონაჟს შეახსენებენ, რომ მისი ბედნიერება წარმოსახვითი კი არ არის, რეალურია.
ბ) პერსონაჟს შეახსენებენ, რომ ბედნიერებას, ჩვეულებრივ, მწუხარება მოსდევს ხოლმე.
გ) პერსონაჟს შეახსენებენ, რომ დედაბრების მწუხარების გაზიარება მოყვასის მოვალეობაა.
დ) პერსონაჟს შეახსენებენ, რომ ახალგაზრდობა წარმავალია და იგი აუცილებლად გაქრება.

(1) 6. გოგის როგორ შინაგან მდგომარეობაზე მიუთითებს სიტყვები: *„ასეთი რწმენა შეიძლება მოგცეს საჭემ ან გუთანმა, რომლითაც რაღაცას იმორჩილებ“*?

ა) სხვისი დამორჩილების შესაძლებლობა სიხარულს ანიჭებს.
ბ) საყვარელი ქალის გვერდით ყოფნა თავდაჯერებულობას მატებს.
გ) მარიკას გვერდით ყოფნის გამო უხერხულობის განცდა ეუფლება.
დ) საკუთარი ძალების რწმენა საჭის დამორჩილების იმედს აღუძრავს.

(1) 7. რას გვეუბნება პერსონაჟის გარეგნობაზე სიტყვები: *„ჩია მოხუცი“*?

ა) დაბალი და გამხდარია.
ბ) მაღალი და გამხდარია.
გ) მსუქანი და დაბალია.
დ) მსუქანი და მაღალია.

(1) 8. გოგისადმი მოხუცის რა დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში: *„ყავა დალიე... წყალს კი ნუ სვამ...“*?

ა) გულგრილობა.
ბ) მზრუნველობა.
გ) პატივისცემა.
დ) უპატივცემულობა.

(1) 9. რომელ ფრაზაშია მხატვრული საშუალება?

ა) „ყავის ცარიელი ფინჯნები აიღო და წავიდა“.
ბ) „აცახცახებული ხელით ჭიქა პირთან მიიტანა“.
გ) „კაფეში... სველი ტანისამოსის სუნი იდგა“.
დ) „თითქოს ეს მწარე სიტყვები გულში ჩაიბრუნა“.

(1) 10. რატომ ამბობს მოხუცი ყოფილ რძალსა და მის მეუღლეზე: *„იმიტომაც ვჩერდები მათთან“*?

ა) ამქვეყნად აღარავინ ჰყავს და იძულებულია მათთან იყოს შეხიზნული.
ბ) დარწმუნებულია, რომ ყოფილ რძალსა და მის მეუღლეს დარდს უმსუბუქებს.
გ) ყოფილ რძალთან ცხოვრებას მიჩვეულია და სხვაგან წასვლა ვერ წარმოუდგენია.
დ) დარწმუნებულია, რომ მათი მწუხარება და თანაგრძნობა გულწრფელია.

(1) 11. რატომ შერცხვა გოგის თავისი სიტყვების: *„ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“*?

ა) მიხვდა, რომ ასეთი გაცვეთილი სიტყვებით მოხუცს მწუხარებას ვერ შეუმსუბუქებდა.
ბ) მიხვდა, რომ მის მიერ ნათქვამი სიტყვები მოხუცისათვის თავზარდამცემი იქნებოდა.
გ) მიხვდა, რომ, თუ მარიკა მოხუცთან დიალოგის შინაარსს გაიგებდა, საყვედურს ეტყოდა.
დ) მიხვდა, რომ მოხუცთან საუბრის შეწყვეტა სურდა და ამ სიტყვებს ამიტომ ამბობდა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ადამიანებთან ურთიერთობაში მთავარი საკუთარი გრძნობების გულწრფელი გამოხატვაა.
იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

6.

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის ლექსი „სახლი“:

წარწერა ვაჟას სახლის კედელზე

გზის პირას იდგა პატარა სახლი

და მის გარშემო ტყე კანკალებდა
და ტყის შრიალით სავსეს და დაღლილს
ქვეყანა ჯავშნად ერტყა გარედან.

სახლს ჰქონდა ერთი კარგი თვისება:
ხეებს გაშლიდა ხოლმე აფრებად
და მიფრინავდა...
თუმცა ისედაც
ცის ქვეშ ყველაფერს ათანაბრებდა.

მან თითქოს სხვებზე მეტი იცოდა,
მაგრამ სამღერლად ჰყოფნიდა ცოტაც
და განუწყვეტელ ცეცხლზე იწვოდა,
წვიმდა თუ თოვდა თუ ქარი ქროდა.

იმ სახლში ცეცხლი ყოველთვის ენთო
და ეკუთვნოდა იგი თანაბრად
ცხვარსაც და მგელსაც,
კაცსაც და ღმერთსაც...
და არ აგდებდა ავდარს არაფრად.

რადგან იცოდა,
რომ ავდრის შემდეგ
უფრო ლამაზი იყო ქვეყანა.
და ყველა, ვისაც იცნობდა დღემდე,
უნდოდა დარში გადაეყვანა.

ასეთი იყო ის წყნარი სახლი
და ვისაც სურდა,
ყველა ამჩნევდა,
როგორ დარბოდა ეზოში ძაღლი,
როგორ ყვაოდა ტოტი ფანჯრებთან,

ანდა ამ სახლის მუდმივი მდგმური,
სინათლე, ჩრდილებს როგორ ურევდა
და რა უბრალოდ ტყდებოდა პური
კაცის და მხეცის დასაპურებლად.

მაგრამ მაშინვე გრძნობდა სტუმარიც,
რომ სახლის კედლებს რაღაც სტკიოდათ,
რომ ამ თბილ პურშიც და სასთუმალშიც
ცრემლის მარილი გამოსჭვიოდა.

და რომ სიკვდილის უხორცო ხელი
ამ სახლის მთავარ ძარღვსაც მალავდა,
ის კი, წიგნივით ჩუმი და ძველი,
ქვეყანას თვლიდა თავის კარადად.

და იდგა მშვიდად...
და არაფერი
არ აკვირვებდა ტყეთა ბინადარს,
ხოლო ხანდახან მწვანე აფრებით
წყდებოდა მიწას და მიფრინავდა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. ვისი სახლის შესახებ საუბრობს ავტორი?

ა) მეტყევის.
ბ) მონადირის.
გ) შემოქმედის.
დ) ჯადოქრის.

(1) 3. რით განსხვავდება ეს სახლი სხვა სახლებისაგან?

ა) გზის განაპირას დგას.
ბ) ტყე ჯავშნად აკრავს.
გ) ცაში აფრენა შეუძლია.
დ) ხეების ჩრდილს ეფარება.

(1) 4. როგორ გესმით სიტყვები: *„ცის ქვეშ ყველაფერს ათანაბრებდა“*?

ა) ამქვეყნად ყველას ზემოდან უყურებდა.
ბ) ამქვეყნად ყველას თანასწორად მიიჩნევდა.
გ) ამქვეყნად ყველას საყვედურით ავსებდა.
დ) ამქვეყნად ყველას უანგაროდ ეხმარებოდა.

(1) 5. რის სიმბოლოა ლექსში *„განუწყვეტელი ცეცხლი“*?

ა) კაცობრიობის ხსნის.
ბ) მარადიული ხსოვნის.
გ) შემოქმედებითი წვის.
დ) ხალხთა თავისუფლების.

(1) 6. რაზე მიანიშნებს მკითხველს ავტორი ავდრისა და დარის, ჩრდილისა და სინათლის მონაცვლეობაზე საუბრით?

ა) ადამიანების ცვალებად და დაუნდობელ ბუნებაზე.
ბ) ამქვეყნიური და მარადიული ცხოვრების კავშირზე.
გ) ბოროტებისა და სიკეთის განუწყვეტელ ჭიდილზე.
დ) წუთისოფლის ამაოებასა და წარმავლობაზე.

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა:

„ის კი, წიგნივით ჩუმი და ძველი,
ქვეყანას თვლიდა თავის კარადად“?

ა) ალუზია.
ბ) ირონია.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 8. რას გრძნობს და ხედავს ამ სახლში მოხვედრილი სტუმარი?

ა) აქ თბილ პურს არავის ამადლიან.
ბ) აქ კედლებსაც კი რაღაც აწუხებთ.
გ) აქ უძინარს სასთუმალს სთავაზობენ.
დ) აქ ყვავილის ტოტიც ცრემლებს მალავს.

(1) 9. რატომ არაფერი უკვირს სახლს?

ა) რადგან ადამიანებისა თუ მხეცის ნდობა დაკარგული აქვს.
ბ) რადგან განმარტოებით ყოფნამ გაოცების უნარი დააკარგვინა.
გ) რადგან მის კედლებში ისედაც ყველაფერი შესაძლებელია.
დ) რადგან ცხვართან თუ მგელთან ერთნაირად მეგობრობს.

(1) 10. რომელ ფრაზაში *<u>არ არის</u>* მხატვრული საშუალება?

ა) „და განუწყვეტელ ცეცხლზე იწვოდა,
წვიმდა თუ თოვდა თუ ქარი ქროდა“.
ბ) „და რომ სიკვდილის უხორცო ხელი
ამ სახლის მთავარ ძარღვსაც მალავდა...“
გ) „და ყველა, ვისაც იცნობდა დღემდე,
უნდოდა დარში გადაეყვანა“.
დ) „როგორ დარბოდა ეზოში ძაღლი,
როგორ ყვაოდა ტოტი ფანჯრებთან...“

(1) 11. რისი სურვილი არის გამოხატული სიტყვებში:

„ხოლო ხანდახან მწვანე აფრებით
წყდებოდა მიწას და მიფრინავდა“?

ა) ამქვეყნიური ყოფის უარყოფის.
ბ) აფროსანი ხომალდით ცურვის.
გ) ღრუბლებთან ხეტიალის.
დ) შინაგანი თავისუფლების.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მწერლის მიერ შექმნილი სამყარო ხშირად გაცილებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ვიდრე რეალური ყოფა.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „მგზავრის წერილები“:

„თერგდალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლადა თერგდალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგდალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს...

მაგრამ მაინცდამაინც ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში,

ჩემო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა...

შუადღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს – შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა. პოვოსკაში ქვებზედ
ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამაპაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ და იმავე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე...

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თვითვეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს – მესამე, ასე ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, – ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა,

რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი, თავის გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? – ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

– მართლა-და რა უნდა ვქნა? – ვკითხე მე ჩემს თავს ხმამაღლივ.

(1) 2. საზოგადოების მიმართ ავტორის როგორი დამოკიდებულება ჩანს პირველ აბზაცში?

ა) წუხს ქართველების დაპირისპირების გამო.
ბ) მხარს უჭერს საზოგადოების პოზიციას.
გ) ამხელს საზოგადოების ჩამორჩენილობას.
დ) ცდილობს ქართველობის გაერთიანებას.

(1) 3. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვა *„ორპირი“?*

ა) ალესილ მახვილს.
ბ) გამჭოლ მზერას.
გ) ცბიერ ბუნებას.
დ) ვიწრო ხეობას.

(1) 4. გაიხსენეთ, ვინ არის ავტორი ლექსისა, რომლის ნაწყვეტსაც ილია ჭავჭავაძე მოცემულ მონაკვეთში იმოწმებს: *„თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს...“?*

ა) ნიკოლოზ ბარათაშვილი.
ბ) გრიგოლ ორბელიანი.
გ) აკაკი წერეთელი.
დ) ალექსანდრე ჭავჭავაძე.

(1) 5. რას ნიშნავს სიტყვები: [თერგი] *„როზგქვეშ არის გატარებული“?*

ა) განწირულია.
ბ) დავიწყებულია.
გ) დასჯილია.
დ) წაქეზებულია.

(1) 6. რას ნიშნავს გამოთქმა: *„საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს“?*

ა) ზნე და ხასიათი უცხო გარემოშიც შეგინარჩუნებია.
ბ) უცხო ქვეყანაში დასამკვიდრებლად არაფერს მორიდებიხარ.
გ) ზნე და ხასიათი გარემოს შესაბამისად გამოგიცვლია.
დ) ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ სამოყვროდ მისულხარ.

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა: *„მიმხრჩვალხარ... ნათრევ ლომსავითა“?*

ა) ალუზია.
ბ) გაპიროვნება.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 8. მთხრობლის როგორი სულიერი მდგომარეობაა გამოხატული მონაკვეთში:
„ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა“?

ა) აღტაცებულია.
ბ) აფორიაქებულია.
გ) განრისხებულია.
დ) შეურაცხყოფილია.

(1) 9. რომელია მეტაფორა?

ა) „ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა“.
ბ) „ ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ“.
გ) „შესწყვიტა... ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი“.
დ) „გულმა სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა“.

(1) 10. რაზე მიანიშნებს ავტორის სიტყვები: *„იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა“*?

ა) ფიქრობს, რომ უცხო გარემოში გაზრდილ ადამიანს ხალხის აუცილებლად გარიყავს.

ბ) დარწმუნებულია, რომ მამულიშვილური ვალის აღსრულების საშუალებას არ მისცემენ.

გ) დარწმუნებულია, რომ დამარცხებას მშობელი ხალხი არასოდეს აპატიებს და შერისხავს.

დ) იმედი აქვს, მშობელი ხალხი მას მიიღებს და გულწრფელ განზრახვასაც მიუხვდება.

(1) 11. რა აღელვებს ავტორს, როცა სვამს კითხვას: *„მართლა-და რა უნდა ვქნა“*?

ა) შიშობს, რომ ქვეყანა რეალურ საქმეს არ მოსთხოვს.

ბ) წუხს, რომ მშობელ ხალხს სიტყვებით ვერ ანუგეშებს.

გ) შეძლებს თუ არა იგი სიტყვისა და საქმის მკაფიოდ გამიჯვნას.

დ) შეძლებს თუ არა იგი თავისი ნააზრევი საქმედ აქციოს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. განათლებას მხოლოდ მაშინ მოაქვს სიკეთე, როცა იგი წინსვლასა და განვითარებას ემსახურება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

1.

2. ---------- ბ)
3. ---------- დ)
4. ---------- დ)
5. ---------- ა)
6. ---------- გ)
7. ---------- ა)
8. ---------- ა)
9. ---------- გ)
10. ---------- ბ)
11. ---------- ბ)

2.

2. ---------- გ)
3. ---------- ა)
4. ---------- დ)
5. ---------- ბ)
6. ---------- დ)
7. ---------- გ)
8. ---------- ა)
9. ---------- ა)
10. ---------- დ)
11. ---------- ბ)

3.

2. ---------- გ)
3. ---------- დ)
4. ---------- დ)
5. ---------- ბ)
6. ---------- ა)
7. ---------- დ)
8. ---------- დ)
9. ---------- ა)
10. ---------- გ)
11. ---------- დ)

4.

2. ---------- ა)
3. ---------- გ)
4. ---------- ბ)
5. ---------- გ)

6. ---------- გ)
7. ---------- გ)
8. ---------- ა)
9. ---------- ა)
10. ---------- ა)
11. ---------- ბ)

5.

2. ---------- გ)
3. ---------- დ)
4. ---------- გ)
5. ---------- ა)
6. ---------- ბ)
7. ---------- ა)
8. ---------- ბ)
9. ---------- დ)
10. ---------- დ)
11. ---------- ა)

6.

2. ---------- გ)
3. ---------- გ)
4. ---------- ბ)
5. ---------- გ)
6. ---------- გ)
7. ---------- გ)
8. ---------- ბ)
9. ---------- გ)
10. ---------- დ)
11. ---------- დ)

წერითი დავალება

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **34.**

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 150 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება.

I კრიტერიუმი

№	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**2**

2.	დავალების პირობა **ნაწილობრივ *არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
3.	დავალების პირობა **არაადეკვატურადაა** გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორ-დება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანამიმდევრულია; ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**2**
2.	ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას. ლოგიკურად გამართული და თანამიმდევრულია, მაგრამ აბზაცები ზოგიერთ შემთხვევაში ***სწორად არ არის*** გამოყოფილი.	**1**
3.	ნაშრომის სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები ***სწორად არ არის*** გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*მხატვრული ტექსტის ანალიზი*	*ქულები*
1.	მხატვრული ნაწარმოები ***სიღრმისეულადაა*** გააზრებული და ***მკაფიოდ*** არის გამოკვეთილი და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი.	**6**
2.	მხატვრული ნაწარმოები ***სიღრმისეულადაა*** გააზრებული, მაგრამ ***მკაფიოდ არ არის*** გამოკვეთილი და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი ან ***მკაფიოდ*** არის გამოკვეთილი და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ***სიღრმისეულად არ არის*** გააზრებული; ანდა მხატვრული ნაწარმოები ***კარგად*** არის გააზრებული, ასევე ***კარგად*** არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი.	**5**
3.	მხატვრული ნაწარმოები ***კარგად*** არის გააზრებული, მაგრამ დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხის ანალიზს ***დამაჯერებლობა აკლია***; ანდა ***კარგად*** არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების მიხედვით მოხმობილი ***არგუმენტები არასაკმარისია***.	**4**
4.	მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ზოგადია, ასევე ზოგადია დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხის ანალიზი და/ან ტექსტი ***ერთ შემთხვევაში არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**3**
5.	მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ზოგადია და არ არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი და/ან ტექსტი ***ორ შემთხვევაში არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**2**
6.	მხატვრული ნაწარმოების ანალიზი ზერელე და არადამაჯერებელია ან ტექსტი	**1**

	ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	
7.	მხატვრული ნაწარმოები გაანალიზებული ***არ არის*** ან მსჯელობა მხოლოდ ორი-სამი წინადადებით არის წარმოდგენილი.	0

IV კრიტერიუმი

№	*საკითხის აქტუალობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	საკითხის აქტუალობის შესახებ მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ***არგუმენტაცია არასაკმარისია***.	4
3.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებს ***დამაჯერებლობა აკლია.***	3
4.	მსჯელობა ***ზოგადია*** და არგუმენტები ***არადამაჯერებელია***.	2
5.	მსჯელობა ***ზერელეა,*** არგუმენტები და/ან მაგალითები ***არაადეკვატურია***.	1
6.	საკითხის აქტუალობის შესახებ ***არ არის*** მსჯელობა ან მსჯელობა მხოლოდ ორი-სამი წინადადებით არის წარმოდგენილი.	0

V კრიტერიუმი

№	*ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4.	აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემა-ტიკაში.	0

VI კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება*	*ქულები*
	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების	3

1.	უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2
3.	ნაშრომში ***ძირითადად*** არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნე-ბის უნარი, თუმცა არის დასმული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	0

VII კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ადეკვატურადაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკურად გაუმართავია.	0

IX კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	5

2.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	4
3.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	3
4.	არ არის დაშვებული რვაზე მეტი შეცდომა.	2
5.	არ არის დაშვებული ათზე მეტი შეცდომა.	1
6.	დაშვებულია ათზე მეტი შეცდომა.	0

X კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ცხრაზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული თორმეტზე მეტი შეცდომა	1
5.	დაშვებულია თორმეტზე მეტი შეცდომა.	0

გ) კომენტარი

წაკითხულის გააზრების დავალებების შესრულებისას აბიტურიენტმა ჯერ ყურადღებით უნდა წაიკითხოს მოცემული ტექსტი, რათა გაიაზროს მისი მთავარი სათქმელი და ავტორის მიზანდასახულობა; ამის შემდეგ გაეცნოს შეკითხვებსა და ასარჩევ პასუხებს, დაუბრუნდეს ტექსტს და თავიდან, დაკვირვებით გაიაზროს ის კონკრეტული მონაკვეთი, რომელსაც ესა თუ ის შეკითხვა ეხება. ასარჩევი ოთხი პასუხიდან შესაძლოა ოთხივე პირდაპირ ტექსტიდან იყოს ამოღებული, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი არის კონკრეტული შეკითხვის პასუხი და, ამდენად, სწორი პასუხის მიგნება ტექსტის სიღრმისეულ გაგებასა და დაკვირვებულ ანალიზს მოითხოვს.

წერითი დავალება მოითხოვს ტექსტის ანალიზს დავალების პირობით განსაზღვრული კონკრეტული პრობლემის მიხედვით და ამ პრობლემის აქტუალურობაზე მსჯელობას. ამდენად, აბიტურიენტები ყურადღებით უნდა გაეცნონ დავალების პირობას, კარგად გაიაზრონ ის და პირობის ადეკვატურად შეასრულონ დავალება. გარდა ამისა, უნდა მოერიდონ ფუჭსიტყვაობას, იმსჯელონ მკაფიოდ და გასაგებად. აუცილებელია გაითვალისწინონ, რომ ტექსტის ანალიზის ნაცვლად მისი შინაარსის გადმოცემა ან პერიფრაზი, თუნდაც სრულიად უშეცდომო, არ შეფასდება. გამოცდაზე სასურველი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ აბიტურიენტებმა საფუძვლიანად შეისწავლონ და ღრმად გაიაზრონ საპროგრამო ნაწარმოებები. აბიტურიენტს უნდა შეეძლოს საპროგრამო ტექსტების ანალიზი, მათში წამოჭრილი პრობლემატიკის გამოკვეთა და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ამ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი როგორც საპროგრამო, ისე არასაპროგრამო ტექსტების სწორად გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზს.